პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის [illegible] კომიტეტის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 132 (10829) ხუთშაბათი 6 ივნისი 1957 წ.

ფასი 20 კაპ.

ეროვნული

## ყველა მეჩაიე კოლმეურნეს, საბჭოთა მეურნეობებისა და ჩაის ფაბრიკების მუშაკებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს

ძვირფასო ამხანაგებო!

1957 წელს საქართველოს მეჩაიეებმა სერიოზული ვალდებულებანი აიღეს. [illegible] 125.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. [illegible]

[illegible] თაც საუკეთესო შედეგებს მიაღწია.

მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ მაისში მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 351,7 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 317,2 ტონისა. (დავალების 110,9 პროცენტი). ამ კოლმეურნეობამ 1 ივნისისათვის საშუალოდ ჰექტარზე უკვე მოკრიფა 1.380 კილოგრამი ფოთოლი. ჩაქვის ლენინის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მკრეფავმა სოციალისტური შრომის გმირმა ტ. ცინცაძემ, რომელიც ასრულებს სოფლის მეურნეობის მუშაკთა რესპუბლიკურ თათბირზე ნაკისრ ვალდებულებას — მიმდინარე წელს მოკრიფოს 6.500 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, უკვე მოკრიფა 2.000 კილოგრამზე მეტი. ასეთი მაგალითი შეიძლება ბევრი მოვიყვანოთ.

რაიონების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და მოწინავე მეჩაიეების, კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების — ჩვენი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტების სანიმუშო მუშაობის ეს აღმაფრთოვანებელი მაგალითები იმის საწინდარია, რომ ჩაის კრეფაში ნაკისრი ვალდებულებანი წარმატებით შესრულდება.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ ის, რაც მიღწეულია ჩაის კრეფისა და დამზადების საქმეში, მხოლოდ დასაწყისია იმ დიდი მუშაობისა, რომელიც გაწეულ უნდა იქნას მიმდინარე წელს პასუხსაგები ამოცანის შესასრულებლად — მივცეთ ჩვენს ქვეყანას 125.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. მეჩაიეთა წინაშე დასახული საბრძოლო ამოცანა ადვილი როდია. პირდაპირ უნდა ითქვას, ბრძოლა მძიმე იქნება. საჭიროა ათასობით მეჩაიის — კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშების ნამდვილი შრომითი გმირობა, პარტიული. საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, ჩაის რაიონების ყველა მშრომელის ბეჯითი მუშაობა.

მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ჯერ კიდევ არ არის ამოქმედებული ჩაის ფოთლის კრეფის გადიდების ყველა რეზერვი, რომ არის ყველა პირობა, რათა მნიშვნელოვნად გაძლიერდეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი.

ეს გარემოება მეჩაიეთაგან მოითხოვს დიდ ორგანიზებულობას მუშაობაში, მეტ მოქნილობას, მანევრულობას, ოპერატიულობას, ყველა საშუალებათა უნარიან გამოყენებას. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ მთელი მუშახელი. ყოველი კოლმეურნე მოვალეა აქტიური მონაწილეობა მიიღოს საკოლმეურნეო შრომაში. კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა ღირსების საქმეა ორგანიზებულად ჩაატარონ ჩაის ფოთლის კრეფა და დამზადება, შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით უზრუნველყონ დიდი გამომუშავება კრეფაზე, მიაღწიონ ივნისში უფრო მაღალ მაჩვენებლებს, ვიდრე მაისში, და უზრუნველყონ წლიური გეგმის ვადამდე შესრულება.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ ზოგიერთი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ჩამორჩენა იმით აიხსნება, რომ ისინი ყურადღებას არ აქცევენ ჩაის პლანტაციებში სამუშაოთა მთელი აგროტექნიკური კომპლექსის შესრულებას. არის ფაქტები, რომ ჩაის პლანტაციები დროზე არ მუშავდება, პლანტაციებში საკმაო რაოდენობით არ შეაქვთ მინერალური სასუქები, უხეშად ირღვევა პლანტაციების დამუშავების აგროტექნიკური ვადები, დროზე არ იკრიფება ჩაის ფოთოლი, რაც იწვევს დანაკარგებს და მოსავლიანობის შემცირებას.

ჩვენმა მეჩაიეებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ, რათა ჩაის ფოთოლი დროზე, უდანაკარგოდ იკრიფებოდეს. ამ მიზნით ყველა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ მტკიცედ უნდა დანერგოს პრაქტიკაში ჩაის ფოთლის განუწყვეტელი კრეფა ყოველგვარ ამინდში. კრეფის წესების დაცვა ნორმალურ პირობებს შექმნის მთელი სეზონის განმავლობაში ჩაის ბუჩქის ვეგეტაციისათვის.

ჩაის მოსავლიანობის გადიდების ბედი პლანტაციებში წყდება. ამიტომ საჭიროა, რომ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მზრუნველობით უვლიდნენ ჩაის ბუჩქებს, სანიმუშოდ აწყობდნენ პლანტაციების დამუშავებას. მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა მეტი დახმარება უნდა გაუწიონ კოლმეურნეობებს პლანტაციების დროზე და კარგი ხარისხით კულტივაციაში. კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა, მექანიზატორთა ღვიძლი საქმეა სანიმუშოდ მოვლილი ჰქონდეთ პლანტაციები.

დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ ჩაის მრეწველობის მუშაკებს. ჩაის ფაბრიკების მუშათა, მოსამსახურეთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა საბრძოლო ამოცანაა უზრუნველყონ ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის დროზე გადამუშავება, ზუსტად დაიცვან ტექნოლოგიური რეჟიმი, იბრძოლონ ჩაის მზა პროდუქციის ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის. მათ უნდა გაითვალისწინონ, რომ ახლა ჩაის ფოთლის კრეფის გადიდებასთან დაკავშირებით ჩაის ფაბრიკები ყოველდღე სულ უფრო მეტ ნედლეულს მიიღებენ გადასამუშავებლად. არც ისეთი შემთხვევებია გამორიცხული, რომ ცალკეულ დღეებში ფაბრიკა მიიღებს ნედლეულს ისეთი რაოდენობით, რომელიც აღემატება ფაბრიკის საწარმოო სიმძლავრეს. ასეთ პირობებში ჩაის ფაბრიკების დირექტორებმა, ტექნოლოგებმა, ინჟინრებმა მეტი მოქნილობა უნდა გამოიჩინონ მუშაობაში და ისე უნდა მოაწყონ საქმე, რომ არ დაირღვეს გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესი, მაქსიმალურად, სრული დატვირთვით იქნას გამოყენებული ყველა დანადგარი. საჭიროა უზრუნველვყოთ ფაბრიკების რიტმული მუშაობა, შრომის ნაყოფიერების გადიდება, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, ვიბრძოლოთ მზა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

ჩაის ფაბრიკებმა უნდა გააძლიერონ კონტროლი ჩაის დამამზადებელი პუნქტების მუშაობისადმი. საჭიროა გაუმჯობესდეს ავტოტრანსპორტის მუშაობა იმისათვის, რომ ჩაის ფოთოლი დროზე გადაიზიდოს დამამზადებელი პუნქტებიდან ფაბრიკებში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობებისა და ჩაის ფაბრიკების მუშაკები არ დაზოგავენ ძალღონესა და ენერგიას, რათა ორგანიზებულად ჩაატარონ ჩაის კრეფა და ნედლეულის გადამუშავება, რომ ისინი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით 125 ათას ტონა ჩაის მწვანე ფოთოლს მისცემენ ჩვენს ქვეყანას 1957 წელს და დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავს შეხვდებიან ნაკისრი ვალდებულების წარმატებით შესრულებით.

**საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი** — **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო**

## ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი ფინეთში გაემგზავრნენ

ასობით მოსკოველი შეიკრიბა 5 ივნისს საღამოს დედაქალაქის ლენინგრადის ვაგზალში. მათ დიდი გულითადობით და გულთბილობით გააცილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ს. ხრუშჩოვი, რომლებიც ჰელსინკს გაემგზავრნენ ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ურხო კეკონენისა და მთავრობის მიწვევით.

პერონი მორთული იყო საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით.

გამცილებელთა შორის იყვნენ ამხანაგები ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, გ. კ. ჟუკოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, დ. ტ. შეპილოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. მ. შვერნიკი, ა. ბ. არისტოვი, სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები.

ვაგზალში იყვნენ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, რომლებიც აკრედიტებული არიან სსრ კავშირში, აგრეთვე საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

როცა ნ. ა. ბულგანინი, ნ. ს. ხრუშჩოვი და სხვა საბჭოთა ხელმძღვანელები პერონზე გავიდნენ, მშრომელთა მრავალი აქ დამსწრე წარმომადგენელი მათ მქუხარე ტაშით შეეგება.

გამცილებლებმა კეთილი მგზავრობა უსურვეს ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს.

22 საათზე სპეციალური მატარებელი მოსკოვი-ჰელსინკი პერონს მოშორდა.

## პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა დაათვალიერეს უნივერმაღის „ბავშვთა სამყაროს" ახალი შენობა

შესანიშნავ საჩუქარს მიიღებენ ნორჩი მოსკოველები. მათთვის დედაქალაქის ცენტრში ძერჟინსკის მოედანზე აშენდა უნივერმაღის „ბავშვთა სამყაროს" მონუმენტური შენობა.

უნივერმაღის ახალ შენობაში დამთავრდა შიდა მოპირკეთების სამუშაოები. მაღაზია მზად არის გასახსნელად.

4 ივნისს დილით უნივერმაღ „ბავშვთა სამყაროში" იყვნენ ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ი. კირიჩენკო, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. ზ. საბუროვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, ე. ა. ფურცევა, ა. ბ. არისტოვი.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს ახლდნენ და ახსნა-განმარტებას აძლევდნენ მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. ი. ბობროვნიკოვი, არქიტექტორი — უნივერმაღის შენობის პროექტის ავტორი ა. ნ. დუშკინი, „მოსსტროის" № 16 ტრესტის მმართველი მ. კ. დუბოვოი და უნივერმაღის დირექტორი ა. პ. ცირენშჩიკოვა.

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა დაათვალიერეს სავაჭრო დარბაზები, საბავშვო კაფე, გაეცნენ მაღაზიის მოწყობილობას და საქონლის ნიმუშებს.

## დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად

★ ★ ★



### ახალი მანქანა ღვინის მრეწველობისათვის

უკანასკნელ წლებში თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში ათვისებულ იქნა მრავალი ახალი, გაუმჯობესებული ტიპის მანქანების წარმოება. თბილისელი მანქანათმშენებლების ხელით გაკეთებული მანქანები, რომლებიც განკუთვნილია ღვინის, ჩაისა და სახურსათო საქონლის მრეწველობის სხვა დარგებისათვის, ფართოდ არის ცნობილი არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ შორს მის ფარგლებს გარეთაც. ჩვენი ქვეყნის თითქმის ყოველ კუთხეში მიდის ღვინის პირველადი გადამუშავებისათვის განკუთვნილი მოწყობილობა. ქარხნის კოლექტივი ხშირად ასრულებს აგრეთვე დემოკრატიული ქვეყნების დაკვეთებს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების პერიოდში თბილისელმა მანქანათმშენებლებმა ახალი მნიშვნელოვანი საწარმოო გამარჯვება მოიპოვეს. საიარაღო-საექსპერიმენტო საამქროს კოლექტივმა ამ დღეებში დაამთავრა წუნმდებელ-სალუქავი ავტომატის პირველი ორი ხაცდელი ეგზემპლარის დამზადება. მანქანაზე ავტომატურად ხდება ღვინით სავსე ნახევარლიტრიანი ბოთლების შემოწმება, დალუქვა და დაბეჭდვა. ავტომატის წარმადობა საათში 3.360 ბოთლია.

წელს ქარხნის კოლექტივმა ასეთი მანქანების სერიული წარმოება უნდა აითვისოს. წლის ბოლომდე გამოშვებული იქნება 143 ცალი ავტომატი.

* * *

სურათზე: საიარაღო-საექსპერიმენტო საამქროს ოსტატი ვ. ივანოვი და მოწინავე ზეინკალი ს. ავალიშვილი მუშაობენ წუნმდებელ-სალუქავი ავტომატის აწყობაზე.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

## კუდაროს ბარიტის საბადოში

ხეობის სიღრმეში მთის გულიდან ამოღებული თეთრად მბრწყინავ ქვის ნატეხთა მსგავსი გროვები ჩანს. ეს კუდაროს ბარიტია, რომლის საბადო კვაისის ტყვია-თუთიის საბადოს მეზობლად არის კუდაროს ხეობაში. ხეობის თავზე გადაჭიმულ საბაგირო გზაზე ვაგონეტები სრიალებენ, საწმენდ-სარეცხი დანადგარის ბუნკერი უხვად იღებს მაღაროში დატვირთულ ბარიტს.

ბარიტის მომპოვებელთა სახელოვანმა კოლექტივმა საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულა ამ წიაღისეულის ამოღებისა და გაწმენდა-გასუფთავების პირველი კვარტალის დავალება. ბარიტის ხარისხმა მოლოდინს გადააჭარბა. ქუთაისის ლიტოპონის ქარხნიდან, სადაც გადასამუშავებლად იგზავნება კუდაროს ბარიტი, მადლობას უთვლიან მაღაროელებს.

მაღაროელებმა გადაჭარბებით გაანაღდეს აგრეთვე აპრილისა და მაისის საწარმოო პროგრამა.

— ბარიტი, — გვეუბნება საბადოს მთავარი ინჟინერი შ. დავლაძე, — ძვირფასი წიაღისეულია, მას ფართოდ იყენებენ ქიმიურ მრეწველობაში, ნავთობისა და რეზინის წარმოებაში. მთავარია ბარიტის ხარისხი. ამ მხრივ კუდაროს ბარიტს ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია ჩვენს ქვეყანაში. გარეცხვისა და გამდიდრების შემდეგ თითქმის 90 პროცენტი სუფთა ბარიტი რჩება.

...სარეცხ საამქროში ვეებერთელა ცილინდრი ტრიალებს, მის შიგნით კი ნაკადად მომსკდარი წყალი ბრუნავს, სადაც ბარიტი ირეცხება. შემდეგ მადანი ტრანსპორტერით გამოაქვთ.

ბარიტით სავსე ავტომანქანები სტალინირისაკენ მიემართებიან. მადანს იქ ვაგონებში ტვირთავენ და ქუთაისში გზავნიან. ზამთრობით, როცა დიდი თოვლი კეტავს სტალინირ-კვაისის გზას, ბარიტით დატვირთული მანქანები ონზე გავლით ჩადიან ქუთაისში.

საბადოში ორი ცვლა მუშაობს. ერთს ო. ბეგიაშვილი ხელმძღვანელობს, მეორეს — გ. სანიკიძე. ცვლები ერთმანეთს ეჯიბრებიან. მაღაროს კოლექტივის შრომითი აქტივობა განსაკუთრებით მას შემდეგ გაიზარდა, რაც ჩვენს ქვეყანაში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება გაჩაღდა. მბურღავები, ამფეთქებლები, მებიგეები, მზიდავები — ყველა ცდილობს სასახელოდ შეასრულოს ვალდებულება და ღირსეულად შეხვდეს დიად თარიღს.

მუხთარ ბაგაევის მბურღავთა ბრიგადა მოწინავეა მთელ კუდაროში. ბრიგადის წევრები ა. ცხოვრებოვი, კ. ჯაბიევი და ი. ქელეხსაევი პირველობას არავის უთმობენ. თვითეული მათგანი დავალებას 120-140 პროცენტით ანაღდებს.

ბარიტის მონგრეული ქანობი მიწის ზედაპირზე მტვირთავებს და ვაგონეტების გამგორებლებს გამოაქვთ. ისინი თავიანთი წარმატებებით მბურღავებს როდი ჩამორჩებიან. ამ შრომატევად საქმეში კარგი მაჩვენებლები აქვს ნ. ხუგაევის ბრიგადას, რომელმაც აპრილში მუშაობის შედეგების მიხედვით პირველი ადგილი დაიკავა საბადოში.

ასე სასახელოდ შრომობენ კუდაროს ბარიტის მომპოვებლები. (საკ. კორ.).

## ბოლნისის რაიონმა შეასრულა მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარების ნახევარი წლის გეგმა

ბოლნისის რაიონმა ვადამდე შეასრულა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის ნახევარი წლის გეგმა. 1 ივნისისათვის დამზადებისა და შესყიდვის ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია: ხორცისა — 112,4 პროცენტით, რძისა — 101 პროცენტით, კვერცხისა — 103,8 პროცენტით, ნედლი ტყავისა — 111 პროცენტით.

სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარება გრძელდება.

## მოჰკილია ქერის პირველი ჰექტარები

ყვარელი, 5 ივნისი. (ტელეფონით). ახალსოფლის ლენინის სახელობის და წიწკანაანთსერის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებში 4 ივნისს დაიწყო ქერის მოსავლის აღება.

ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში პირველ დღეს 4 ჰექტარი მომკეს. საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 16 ცენტნერი მოსავალი. წიწკანაანთსერის კოლმეურნეობაში მომკილია 15 ჰექტარი. საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 18 ცენტნერი მარცვალი.

მოსავლის აღებაში თავი გამოიჩინეს კომბაინერებმა პ. მოდებაძემ, ე. ჟორჟოლაძემ, გ. ჯელაძემ, ი. ხინჩიკაშვილმა.

**ლ. ველიაშვილი,**
ყვარლის რაიონული გაზეთის „ლენინური გზით" რედაქციის მდივანი.

## აბრეშუმის პარკის პირველი მოსავალი

ცხაკაიას სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში სახელი გაითქვა მეაბრეშუმე ლენა ჯიქიძემ. მან საუკეთესოდ მოუარა 4 გრამიდან გამოყვანილ მუხლს და პირველმა ჩააბარა ცხაკაიას მიმღებ პუნქტს 14,4 კილოგრამი ხარისხოვანი აბრეშუმის პარკი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8,4 კილოგრამისა.

**ვ. წირღვავა,**
ცხაკაიას რაიონული გაზეთის „ავანგარდის" რედაქტორი.

### ვამოწმებთ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას

## ორი რაიონი — ორი მაგალითი

წლების განმავლობაში ერთმანეთს ეჯიბრებიან საგარეჯოსა და კასპის რაიონები. კისრულობენ ვალდებულებებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის მკვეთრად გადიდებისათვის.

წელს ეს რაიონები კვლავ განაგრძობენ ამ ტრადიციულ შეჯიბრებას. საგარეჯოელებმა თავიანთ ვალდებულებებში ჩაწერეს, რომ წელს უნდა აწარმოონ 14.320 ცენტნერი ხორცი, ყოველ ას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე კი 38 ცენტნერი ხორცი, ყოველ ას ჰექტარ სახნავზე — 20,6 ცენტნერი ღორის ხორცი, ყოველ ას ჰექტარ მარცვლეულის ნათესზე — 3 ცენტნერი ფრინველის ხორცი.

საგარეჯოელებმა გადაწყვიტეს ხორცის წარმოების მკვეთრად გადიდებისათვის გაასუქონ 5.100 ღორი თვითეული 80-100 კილოგრამი წონისა.

საგულისხმო ვალდებულებები აქვთ ნაკისრი კასპელებს ხორცისა და რძის წარმოების გადიდებისათვის. მათი ვალდებულება ითვალისწინებს 1957 წელს ყოველ ას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მიიღონ 50 ცენტნერი რძე, 23 ცენტნერი ხორცი, აქედან 8 ცენტნერი ღორის ხორცი, ყოველ ას ჰექტარ მარცვლეულის ნათესზე — 5.000 ცალი კვერცხი, თვითეულ კვერცხმდებელ დედალზე კი 70 კვერცხი და სხვ.

თუ როგორ სრულდება სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებები და რომელი რაიონი როგორ აწარმოებს რძესა და ხორცს, ამას ნათლად გვიჩვენებს შემდეგი მონაცემები:

| საგარეჯოს რაიონი | | კასპის რაიონი |
|---|---|---|
| 677 | მიღებულია რძე (კილოგრამობით) ყოველ საფურაჟე ძროხაზე 7 თვეში | 352 |
| 28 | ყოველ ას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მიღებულია რძე (ცენტნერობით) | 17,7 |
| 14,05 | ყოველ ას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე 7 თვეში მიღებულია ხორცი (ცენტნერობით) | 11,8 |
| 3,33 | ყოველ ას ჰექტარ სახნავზე მიღებულია ღორის ხორცი (ცენტნერობით) 7 თვეში | 1,6 |

ამასთან ერთად საინტერესოა გავეცნოთ ამ ორი რაიონის მიერ სამეურნეო წლის ბოლომდე ხორცის მოსალოდნელ წარმოებას.

| საგარეჯოს რაიონი | | კასპის რაიონი |
|---|---|---|
| 38,4 | ყოველ ას ჰექტარ მიწის სავარგულებზე სულ ხორცის მოსალოდნელი წარმოება წლის ბოლომდე (ცენტნერობით) | 24,4 |
| 20,6 | ღორის ხორცის წარმოება ყოველ ას ჰექტარ სახნავზე წლის ბოლომდე (ცენტნერობით) | 11,3 |

აქედან ნათლად ჩანს, რომ რძისა და ხორცის წარმოებაში საგარეჯოს რაიონს თავის მეზობელ კასპის რაიონთან შედარებით უკეთესი მდგომარეობა აქვს. 7 თვის შედეგებით რძის წველადობით საგარეჯოს რაიონი რესპუბლიკაში მეხუთე ადგილზეა, ხოლო კასპის რაიონი — ოცდამეექვსეზე. მაგრამ ისიც ცხადია, რომ საგარეჯოსა და კასპის რაიონებს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა გასანაღდებლად მეტი დაძაბული, ორგანიზატორული მუშაობა მოელით, განსაკუთრებით კასპის რაიონს, რომელიც ამ საქმეში ჩამორჩა. ეს კარგად უნდა გაითვალისწინონ კასპის რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა. დიდი და გადამწყვეტი სამუშაო წინ არის.

აღსანიშნავია, რომ ხორცისა და რძის წარმოების გადიდებაში საგარეჯოსა და კასპის რაიონების მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს. მაგალითად, საგარეჯოს მარქსის სახელობის კოლმეურნეობამ, რომლის თავმჯდომარეა ოცდაათათასელი ამხ. ვ. აბაკელია, წელს გეგმით საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე უნდა მიიღოს 1.250 ლიტრი რძე. 20 მაისისათვის მიღებული ჰქონდათ 1.018 ლიტრი რძე. აქაური მეცხოველეები იბრძვიან 1.600 ლიტრი რძის მიღებისათვის. მათი ვალდებულება ითვალისწინებს თვითეულ კვერცხმდებელ დედალზე მიაღწიონ 80 კვერცხის მიღებას, უკვე მიღებული აქვთ 50 კვერცხზე მეტი. მოაწყეს ვალდებულებით გათვალისწინებული მეინდაურეობის ფერმა. გადაწყვეტილი აქვთ შექმნან მეკამეჩეობის ფერმა.

ამ კოლმეურნეობაში სახელი გაითქვა მწველავმა ა. ქურხულმა. იგი 14 ძროხას უვლის. საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებული აქვს 1.200 ლიტრი რძე და იბრძვის 1.600 ლიტრისათვის. ასევე დაწინაურდა მწველავი გ. ქურხული. ეს კოლმეურნეობა ეჯიბრება მანავის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობას. შემოწმებით გამორკვეულია, რომ საგარეჯოს მარქსის სახელობის კოლმეურნეობამ მანავის კოლმეურნეობას გაუსწრო რძის, კვერცხის წარმოებასა და გოჭების გაზრდაში. მანაველებს კი უკეთესი მაჩვენებლები აქვთ ბატკნების მიღება-გაზრდაში.

პატარძეულელი კოლმეურნეები ეჯიბრებიან ნინოწმინდელებს. ამ პირველ ეტაპზე პატარძეულელებმა ნინოწმინდელები უკან მოიტოვეს რძისა და კვერცხის წარმოებაში, ხოლო ნინოწმინდელებმა აჯობეს თავიანთ მეტოქეს ბატკნების გაზრდაში, თოხლიაურელები დაწინაურდნენ ჩაილურელებთან შეჯიბრებაში.

კასპის რაიონის კავთისხევისა და ჯიმითის კოლმეურნეობების მიერ შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ისინი პატივს სცემენ ურთიერთშორის დადებულ ხელშეკრულებას. ამას წინათ ორივე კოლმეურნეობის წარმომადგენლებმა შეამოწმეს, როგორ სრულდება ნაკისრი ვალდებულებები. აღმოჩნდა, რომ 1 მაისისათვის კავთისხევის კოლმეურნეობაში თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიღებული იყო 533,7 ლიტრი რძე. ამით კავთისხეველებს რაიონში მეორე ადგილი უკავიათ. ცხვრის ნამატი შეინარჩუნეს 98,7 პროცენტით, პირველი პარსვის შედეგად თვითეულ ცხვარზე მიღებულია 1,2 კილოგრამი მატყლი.

რა მდგომარეობაა ჯიმითის კოლმეურნეობაში? თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიიღეს 480,8 ლიტრი რძე, ცხვრის ნამატი შეინარჩუნეს 99,9 პროცენტით, პირველი პარსვიდან მიიღეს 1,26 კილოგრამი მატყლი. ეს კოლმეურნეობა აგრეთვე დაწინაურდა მეფრინველეობის განვითარებაში. განსაკუთრებით კარგად არის მოწყობილი საწიწილე. გაყვანილია ელექტროსინათლე, რადიო. ფერმაში მოწყობილია წითელი კუთხე. წიწილების შენარჩუნება 98 პროცენტს აღწევს. შეჯიბრებაში ჩაბმული ეს კოლმეურნეობები ენერგიულად იბრძვიან ხორცისა და რძის წარმოების დარგში ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის, დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად გაჩაღებულ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

საგარეჯოსა და კასპის რაიონების კოლმეურნეობებს დიდი შესაძლებლობები და რეზერვები აქვთ. ახლა მთავარია დარჩენილი დროის გონივრულად გამოყენება, არახებული რეზერვების მთლიანად ამოქმედება, მასებში ორგანიზატორული და პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობის გაძლიერება, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვა.

**ნ. ჯანჯღავა,**
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტი.

პარტიული ცხოვრება

# თეატრის პარტიული ორგანიზაცია

[illegible]

...დიანი და სხვები.

პარტიული ორგანიზაცია იმისათვის იბრძვის, რომ თეატრში შექმნილი ვითარება ხელს უწყობდეს პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლას, იმას, რომ მსახიობები მოურიდებლად აკრიტიკებდნენ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს. ამ მიზნით იყენებს პარტიულ კრებებს, კედლის გაზეთს, საагიტაციო საუბრებს და სხვ. ამასთან კრიტიკა და თვითკრიტიკა იქითკენ არის მიმართული, რომ ხელს უწ-

[illegible]

...რივ ღონისძიებათა განხორციელებას მეტი გასაქანი უნდა მიეცეს მიმდინარე წლის ზაფხულში. ამ ინიციატივის სული და გული პარტიული ორგანიზაცია, კომუნისტები უნდა იყვნენ.

წარმატებით რომ გადაწყვიტონ დიდი შემოქმედებითი ამოცანები, თეატრის მუშაკები დაუღალავად უნდა იმაღლებდნენ იდეურ-თეორიულ დონეს, შემოქმედებითად სწავლობდნენ მარქსიზმ-ლენინიზმს. თეატრში თეორიული სწავლების ძირითადი მეთოდია დამოუკიდებლად მუშაობა წიგნ-

[illegible]

დ. [illegible]აძე.



თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის ქალის წინდების საამქროს მქსოველები უკვე რამდენიმე თვეა ისე მუშაობენ, რომ არა ჰყავთ ტექნიკური კონტროლიორები, თვითონვე ახარისხებენ თავიანთ მიერ მოქსოვილ წინდებს. ამ ღონისძიების განხორციელებამ კიდევ უფრო გაზარდა მქსოველთა პასუხისმგებლობა და აამაღლა წინდების ხარისხი. ამ მხრივ განსაკუთრებით კარგად მუშაობენ მქსოველები ს. ნამგალაური, დ. დარბაიძე და ე. ჩურკინა. ისინი დღიურ დავალებებს 185 პროცენტით ასრულებენ. **სურათზე:** მქსოველები ს. ნამგალაური (მარცხნივ), დ. დარბაიძე და ე. ჩურკინა ამოწმებენ წინდების ხარისხს.

ფოტო შ. გოქაძისა.

★

## გარდამავალი დროშა მოწინავე კოლექტივს

სამგორწყალმშენის ტრესტის მე-5 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს კოლექტივმა, რომელსაც ინჟინერი კ. თულაშვილი ხელმძღვანელობს, წელს პირველ კვარტალში მიღწეული მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სოფლის მეურნეობის და დამზადების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, აგრეთვე პირველი ფულადი პრემია — 22.500 მანეთი მოიპოვა.

რამდენიმე დღის წინათ ორხევში მშენებელ მუშათა კლუბში შედგა მშენებელთა კრება, მიძღვნილი მათთვის დროშისა და პრემიის გადაცემისადმი. მშენებლებს დროშა გადასცა და ახალი შრომითი წარმატებებისაკენ მოუწოდა საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ამხ. ა. გაბუნიამ. სიტყვები წარმოთქვეს პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის წარმომადგენელმა ამხ. ბ. ხომერიკმა, მებეტონეთა ბრიგადირმა ლ. თუთბერიძემ, მერემონტე მუშათა წარმომადგენელმა ვ. მახნოვმა და სამმართველოს უფროსმა ინჟინერმა კ. თულაშვილმა, რომელმაც პირობა დადო, რომ მშენებელთა კოლექტივი არ შეანელებს მუშაობის ტემპს, უზრუნველყოფს შემდგომი წარმატების მიღწევას, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის საუკეთესო მაჩვენებლებით აღნიშვნას.

**ა. ფრუიძე,**
სამგორწყალმშენის ტრესტის კადრების განყოფილების უფროსი.

## „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტში

გაიმართა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის სხდომა, რომელმაც განიხილა საერთაშორისო ლენინური პრემიების მისანიჭებლად კანდიდატების დასახელების წესისა და ამ პრემიების მინიჭების პირობების საკითხი და მიიღო დადგენილება.

ამ დადგენილების მიხედვით საერთაშორისო ლენინური პრემიები შეიძლება მიენიჭოს ყოველ პირს, მისი პოლიტიკური შეხედულების, პარტიული კუთვნილების, რელიგიური რწმენისა და რასობრივი განსხვავების მიუხედავად, თუ ამ პირის მეცნიერული შრომები, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებნი ან საზოგადოებრივი, რელიგიური და სხვა მოღვაწეობა წარმოადგენს შესანიშნავ წვლილს ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

ამა თუ იმ კანდიდატისათვის პრემიის მინიჭების საკითხს საბოლოო ანგარიშით წყვეტს საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტი.

საერთაშორისო ლენინური პრემიების მისანიჭებლად კანდიდატურებს ასახელებენ სამეცნიერო დაწესებულებები და სასწავლებლები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეთა ასოციაციები, რელიგიური საზოგადოებები, საზოგადოებრივი (პროფკავშირული, კოოპერაციული, ქალთა, ახალგაზრდობის და სხვ.) ორგანიზაციები, როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული, და პერსონალურად საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის წევრები.

პრემიების უახლოესი მინიჭება მოხდება მიმდინარე წლის დამლევს და გამოქვეყნდება 1958 წლის 1 იანვარს. პრემიების მისანიჭებლად კანდიდატების წარდგენა მიიღება მიმდინარე წლის 15 სექტემბრამდე.

მომავალში საერთაშორისო ლენინური პრემიების მისანიჭებლად კანდიდატების წარდგენას კომიტეტი მიიღებს ყოველი წლის 31 დეკემბრამდე, ხოლო პრემიებს მიანიჭებს მომდევნო წლის მაისში.

ორგანიზაციებმა, რომლებიც ასახელებენ კანდიდატებს საერთაშორისო ლენინური პრემიების მისანიჭებლად, მისამართით — მოსკოვი, საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტი — უნდა გამოგზავნონ შემდეგი მასალები: კანდიდატის დასახელების დაწვრილებითი მოტივები, მოკლე ბიოგრაფიული ცნობები და სხვა საჭირო მასალები, რომლებიც ახასიათებენ მეცნიერულ შრომებს, გამოგონებებს, მხატვრულ ნაწარმოებებსა და საზოგადო მოღვაწეობას და მოწმობენ მათს ღირებულებას მშვიდობის განმტკიცებისათვის.

დადგენილებას ხელს აწერენ: საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე აკადემიკოსი **დ. სკობელცინი**; კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები: **გო მო-ჟო** (ჩინეთი), **ლუი არაგონი** (საფრანგეთი); კომიტეტის წევრები: **ანა ზეგერსი** (გერმანია), **ანტონიო ბანფი** (იტალია), **ჯონ ბერნალი** (ინგლისი), **პაბლო ნერუდა** (ჩილე), **მიხეილ სადოვიანუ** (რუმინეთი), **გ. ალექსანდროვი** (სსრ კავშირი), **საჰიბ სინგ სოქჰეი** (ინდოეთი), **ი. ერენბურგი** (სსრ კავშირი), **იან დემბოვსკი** (პოლონეთი).

## უმაღლეს სასწავლებლებში მიღების ახალი წესები

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტრომ დაამტკიცა უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესები 1957 წლისათვის. რა არის ახალი ამ წესებში? საქდესის კორესპონდენტმა ამ კითხვით მიმართა უმაღლესი განათლების მინისტრს ვ. პ. ელიუტინს.

— უმაღლეს სასწავლებლებში მიღების დამკვიდრებულ პრაქტიკას, — თქვა მინისტრმა,— სერიოზული ნაკლოვანებები აქვს. ამჟამად უმაღლეს სასწავლებლებში უმთავრესად ის ქალიშვილები და ჭაბუკები შედიან, რომლებმაც ეს არის დაამთავრეს საშუალო სკოლა და არა აქვთ ცხოვრების გამოცდილება, არ იცნობენ წარმოებას. ამავე დროს უმაღლესი სკოლა უნდა ამზადებდეს მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებს და ამიტომ მოვალეა განსაკუთრებული გულმოდგინებით შეარჩიოს სტუდენტებად ყველაზე უფრო მომზადებული ახალგაზრდობა, რომელსაც პრაქტიკული და ცხოვრების გამოცდილება აქვს.

ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტრომ გაითვალისწინა, რომ უმაღლეს სასწავლებლებში წარმოებიდან მოწყვეტით პირველ რიგში (უკონკურსოდ) ჩარიცხონ ის პირები, რომლებიც მისაღებ გამოცდებს ჩააბარებენ და დადებით შეფასებას მიიღებენ და რომლებსაც აქვთ სახალხო მეურნეობის და კულტურის სხვადასხვა დარგში მუშაობის სულ ცოტა ორი წლის პრაქტიკული გამოცდილება. ამასთან აღნიშნული შეღავათი ვრცელდება ახალგაზრდობის მხოლოდ საუკეთესო ნაწილზე, რომელმაც კარგად გამოიჩინა თავი პრაქტიკულ მუშაობაში. ასეთივე უფლებებით ისარგებლებენ საბჭოთა არმიისა და ფლოტის ნაწილებიდან დემობილიზებულნი, დიდი სამამულო ომის მონაწილენი.

მედალოსნებს, აგრეთვე სპეციალურ საშუალო სასწავლებელთა ფრიადოსნებს მიიღებენ იმავე საფუძვლებზე, როგორც შარშან იღებდნენ: ოქროს მედლით დაჯილდოებულთ — მისაღები გამოცდების ჩაუბარებლად, ხოლო დანარჩენები ჩააბარებენ გამოცდას ერთ ყველაზე დიდმნიშვნელოვან საგანში არჩეული სპეციალობის მიხედვით. ამ გამოცდას ჩააბარებენ მხოლოდ დიდ უმაღლეს სასწავლებლებში, რომელთა სია გამოცხადდება უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის გამოცემულ ცნობარში. იმათგან, ვინც ასეთ გამოცდას ჩააბარებს, მხოლოდ ის ჩაირიცხება, ვინც მიიღებს შეფასებას არანაკლებ „კარგისა“. ხოლო იმას, ვინც დამაკმაყოფილებელ შეფასებას მიიღებს, უფლება ენიჭება მონაწილეობა მიიღოს კონკურსში საერთო საფუძველზე მოცემულ ან სხვა უმაღლეს სასწავლებელში.

ოქროს მედლით დაჯილდოებულნი, რომლებსაც სულ ცოტა ორი წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი აქვთ, უგამოცდოდ ჩაირიცხებიან განცხადების შეტანის კვალობაზე, ხოლო ვერცხლის მედლით დაჯილდოებულნი და სპეციალური საშუალო სასწავლებლების ფრიადოსნები, რომლებსაც ასეთივე სტაჟი აქვთ, შესასვლელ გამოცდას ჩააბარებენ ერთ საგანში, რა დადებითი შეფასებაც უნდა ჰქონდეთ. რასაკვირველია, ეს გამოცდები მხოლოდ იმ უმაღლეს სასწავლებელში იწარმოებს, სადაც გამოცდები დაწესებულია მედალოსნებისათვის, რომლებსაც სტაჟი არა აქვთ.

მუშაობის საწარმოო სტაჟის მქონე ახალგაზრდობისათვის და საბჭოთა არმიიდან და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულ პირთათვის შეღავათის გაფართოება იმას როდი ნიშნავს, რომ უმაღლესი სასწავლებლის კარი დაეხშოს ნიჭიერ საბჭოთა ახალგაზრდობას, რომელმაც საშუალო სკოლა დაამთავრა და ჯერ არა აქვს მუშაობის საწარმოო სტაჟი. ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, რომლებმაც წარმატებით დაამთავრეს საშუალო სკოლა, შესაძლებლობა ექნებათ აგრეთვე საკონკურსო გამოცდების ჩაბარებით შევიდნენ უმაღლეს სასწავლებლებში.

გამოცდებზე დაშვებისა და უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის საკითხები გადაიჭრება კოლეგიურად მიმღები კომისიის სხდომებზე.

1957 წელს უმაღლეს სასწავლებლებში მიღების ახალი წესების არსებითი ცვლილება, ხაზგასმით აღნიშნა ამხ. ელიუტინმა, ისიც არის, რომ მისაღებ გამოცდას თვითეულ დისციპლინაში ჩაიბარებს კომისია სულ ცოტა ორი გამომცდელის მონაწილეობით.

უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდები მოეწყობა სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამებით, რომლებიც შეესაბამება საშუალო სკოლის პროგრამების მოცულობას.

იმასთან დაკავშირებით, რომ მოსკოვში ეწყობა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მსოფლიო ფესტივალი, დაწესებულია მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელი გამოცდების ახალი ვადები: მოსკოვში მცხოვრებთათვის — 1-დან 15 აგვისტომდე, დანარჩენ შემსვლელთათვის — 16-დან 29 აგვისტომდე; მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვა მოხდება 30-31 აგვისტოს. მეცადინეობა დაიწყება 2 სექტემბერს. სხვა ქალაქების უმაღლეს სასწავლებლებში გამოცდები ეწყობა 1-დან 20 აგვისტომდე, ჩარიცხვა — 21-დან 25 აგვისტომდე. (საქდესი).

სამეცნიერო თემაზე

# მენისკური ტელესკოპი — საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის სიამაყე

უკანასკნელი პერიოდის ასტრონომიულ ინსტრუმენტებს შორის ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი ქმნილებაა ახალი ე. წ. „70 სანტიმეტრიანი მენისკური ტელესკოპი“, რომელიც გასულ წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში დაიდგა. მისი შემქმნელია აკად. ვავილოვის სახელობის სახელმწიფო ოპტიკური ინსტიტუტის წამყვანი კონსტრუქტორი ბ. კ. იოანისიანი, რომელმაც ლენინური პრემია დაიმსახურა.

თანამედროვე ასტრონომიის ამოცანების გადაწყვეტის საფუძველს ქმნიან მკრთალი ციური ობიექტების მრავალნაირი და ფაქიზი დაკვირვებანი, რომელნიც უზრუნველყოფენ სხვადასხვაგვარ მდგომარეობაში მყოფი კოსმოსური ნივთიერების შესწავლას. ფოტოგრაფიულ, ელექტრონულ და სხვა ამგვარ დაკვირვებათა წარმოება ხორციელდება თანამედროვე დიდი ტელესკოპებით, რომლებიც ნაირნაირი დამხმარე აპარატურით აღიჭურვება.

ყოველგვარი ტელესკოპის ძირითად ნაწილებს წარმოადგენენ: ოპტიკა, რომლის დანიშნულებაა შეკრიბოს მნათობის სხივები და შექმნას მისი გამონასახი, მოძრავი დანადგარი, რომელიც ტელესკოპის „თვალს“ ცის სათანადო წერტილში მიმართავს და მიაყოლებს და, ბოლოს, ე. წ. სინათლის მიმღები და დამხმარე ხელსაწყოები, რომლებიც უზრუნველყოფენ მნათობის სიკაშკაშისა და ტემპერატურის გაზომვას, ქიმიური შედგენილობის შეფასებას, ელექტრული და მაგნიტური ველების გამოკვლევას, მოძრაობის სიჩქარის გამოთვლას და მნათობის სხვა მრავალი ფიზიკური თუ გეომეტრიული მახასიათებლის დადგენას. ერთი სიტყვით, თანამედროვე ტელესკოპი ქმნის სპეციალურ ლაბორატორიას, რომელშიც ასტრონომი ეწევა დაკვირვებას და აწარმოებს ფიზიკურ-ასტრონომიულ ექსპერიმენტებს.

ტელესკოპმა განვითარების დიდი გზა განვლო თავისი არსებობის სამნახევარი საუკუნის მანძილზე, დაწყებული მაგიდაზე დასადგმელი უბრალო ჭოგრიტით და დამთავრებული დღევანდელი დიდი მრავალტონიანი რეფრაქტორ-რეფლექტორებით, რომლებითაც ადამიანის თვალი შეაღწევს მრავალ მილიარდჯერ მილიარდ კილომეტრობით დაშორებულ სივრცეს, სადაც მას ძალუძს გამოარკვიოს, მაგალითად, ატომების რაოდენობა ვარსკვლავის ატმოსფეროს აღებულ ფენაში.

ტელესკოპის სრულქმნა-განვითარებას კვალდაკვალ მიჰყვებოდა ახალი აღმოჩენები და, საერთოდ, ასტრონომიის ისტორიული განვითარება.

რაც უფრო დიდია ტელესკოპი ანუ მისი ოპტიკური ნაწილები, ობიექტივები და სარკეები, მით მეტი სინათლის შეკრების უნარი აქვს მას, მით უფრო შორი და მკრთალი ობიექტების შესწავლა შეიძლება მისი მეშვეობით, მაშასადამე, მით უკეთეს სამსახურს უწევს იგი მეცნიერებას.

მაგრამ ტელესკოპის გეომეტრიული ზომების ზრდა დაკავშირებულია დიდ ტექნიკურ სიძნელეებთან და იწვევს ისეთ მოვლენებს, რომლებიც აუარესებენ მნათობთა გამონასახებს ტელესკოპის ფოკუსში.

ამ უარყოფით მოვლენებთან ბრძოლაში ადამიანმა მიაკვლია ისეთ ოპტიკურ სქემებს, რომლებიც შედარებით მცირე ზომების ოპტიკას მოითხოვენ და მნათობთა გამონასახების მაღალ ხარისხს უზრუნველყოფენ.

ერთ-ერთი ასეთი სქემა ხორციელდება ე. წ. მენისკურ ტელესკოპებში, რომელთა აღმოჩენა ეკუთვნის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს პროფესორ დ. დ. მაქსუტოვს. მან ამ აღმოჩენისათვის სტალინური პრემია მიიღო. 1941 წლიდან, როცა აღმოჩენილ იქნა მენისკური სისტემა, დღემდე საბჭოთა



ბ. იოანისიანის კონსტრუქციის 70 სანტიმეტრიანი მენისკური ტელესკოპი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში.

• • •

კავშირში და სხვა ქვეყნებში ტელესკოპის ეს ტიპი საკმაოდ გავრცელდა. მაგრამ აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში დადგმული 70-სანტიმეტრიანი მენისკური ტელესკოპი მათ შორის უდიდესია და ყველაზე სრულქმნილია ტექნიკურად.

ბ. იოანისიანმა, განახორციელა რა მენისკური ოპტიკური სისტემა, რაც ლინზებისა და სარკეების განსაკუთრებულ კომბინაციას წარმოადგენს, შესანიშნავად მოფიქრებულ და დამუშავებულ მექანიკურ კონსტრუქციაში შექმნა მშვენიერი თანამედროვე ტელესკოპი.

ტელესკოპი აღჭურვილია 72 სანტიმეტრის საობიექტივო პრიზმით, რომელიც საშუალებას იძლევა მივიღოთ მკრთალი ვარსკვლავების სპექტრების ფოტოგრაფიებიც. ეს პრიზმა თავისი სიდიდით მეორეა მსოფლიოში იმ პრიზმებს შორის, რომლებსაც ასტრონომიულ პრაქტიკაში ხმარობენ.

ტელესკოპი 6 ტონას იწონის. მისი მოძრავი ნაწილი, რომელსაც სპეციალური მექანიზმის უდიდესი სიზუსტით „მიაყოლებს“ სადღეღამისო ბრუნვაში მოძრავ ცას, ხანგრძლივი ფოტოგრაფირების დროს, 3 ტონაზე მეტს იწონის. მიუხედავად ამისა, გონებამახვილური კონსტრუქცია და ფაქიზი დამზადება უზრუნველყოფენ მისი მოძრაობის ისეთ სიზუსტეს, რომელიც საუკეთესო ქრონომეტრის სიზუსტეს არ ჩამოუვარდება.

ტელესკოპი შედგება 2.500 სახელწოდების დეტალებისაგან. ყველა მისი მოძრაობა და მოქმედება, სახელდობრ ცის სათანადო წერტილზე „დამიზნება“, გამოთვლილი კოორდინატებით დაყენება, მოძრავ ვარსკვლავზე მიყოლება, ფოტოგრაფიული ფირფიტის ახდა და დახურვა და სხვ., მექანიზებულია და ავტომატურად ხორციელდება. მორიგე ასტრონომი სპეციალური პულტიდან მართავს ტელესკოპის მოქმედებას. ეს ტექნიკური სიახლე სავარსკვლავო ტელესკოპებში საბჭოთა კავშირში პირველად აბასთუმნის ობსერვატორიაში განხორციელდა იოანისიანის კონსტრუქციის ტელესკოპზე.

ტელესკოპის მართვისათვის მის კორპუსში და მართვის პულტში მოთავსებულია თოთხმეტი მოტორი.

მთავარი სარკე, რომლის დიამეტრი თითქმის ერთი მეტრია, იწონის 220 კილოგრამს, ხოლო საობიექტივო პრიზმა — 180 კილოგრამს, ამიტომ მისი მორგება და მოხსნა, რაც საჭირო ხდება ხოლმე მუშაობისა და დაკვირვების ამოცანის მიხედვით, სპეციალური ამწით წარმოებს. ამავე დროს სარკისა და პრიზმის ზედაპირები იმდენად ფაქიზად არის დამზადებული, რომ გადახრა გამოთვლილი მათემატიკური ზედაპირიდან არც ერთ წერტილში არ აღემატება მილიმეტრის მეათიათასედ ნაწილს. სარკეებსა და ლინზებს შორის პარალელობა იმდენად მკაცრია, რომ გადახრები არ აღწევს რკალის ათ სეკუნდს, ე. ი. სრულიად უმნიშვნელოა.

ასევე ზუსტად არის გათვლილი და დამზადებული წამყვანი მექანიკური ნაწილები. მაგალითად, სადღეღამისო სიჩქარით მამოძრავებელი ჭიახრახნის წრედის კბილანებს შორის მანძილები გათვლილს არ შორდება უფრო მეტად, ვიდრე მილიმეტრის ხუთი მეათასედია.

ეს ზუსტი და ფაქიზი იარაღი — მენისკური ტელესკოპი მზადდებოდა რამდენიმე წლის განმავლობაში, 1950-1955 წლებში. ამგვარი ტელესკოპები თითქმის არასოდეს არ მზადდება სერიულად. ისინი ინდივიდუალურნი და უნიკურნი არიან ოპტიკური თვისებებით. აბასთუმნის ობსერვატორიის მენისკური ტელესკოპი პირველ რიგში მოემსახურება გალაქტიკაში ევოლუციის თვალსაზრისით განსაკუთრებულად საინტერესო კატეგორიების ვარსკვლავებისა და ვარსკვლავთშორისეთის ნივთიერების შესწავლას. ამ მიზნით ჯერ კიდევ 1949-1950 წლებში აბასთუმნის ობსერვატორიაში პროფესორმა მ. ვაშაკიძემ და სხვებმა შეიმუშავეს ის ამოსავალი ტექნიკური პირობები, რომლებიც უნდა დაეკმაყოფილებინა კონსტრუქციას.

ამ ტელესკოპმა მნიშვნელოვნად გაამდიდრა საბჭოთა ასტრონომიული ობსერვატორიების სამეცნიერო შეიარაღება. მისი განხორციელება ერთხელ კიდევ მოწმობს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაულალავ მზრუნველობას მეცნიერების განვითარებისათვის. ტელესკოპისათვის და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ლაბორატორიებისათვის ყანობილის მთაზე, სადაც აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია მდებარეობს, აგებულ იქნა მოხერხებული და ლამაზი შენობა კოშკითურთ, რომლის მბრუნავი გუმბათის ქვეშ მოთავსებულია ტელესკოპი.

გასულ წელს აბასთუმნის ობსერვატორია დაათვალიერა 70 საბჭოთა და უცხოელმა სპეციალისტმა-ასტრონომმა. მათ შორის იყო თხუთმეტამდე ასტრონომი ჩინეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, უნგრეთიდან, იუგოსლავიიდან, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატებიდან, მექსიკიდან, ირლანდიიდან და საფრანგეთიდან. მენისკური ტელესკოპი, რომლის შექმნა საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის წარმატებათა დამადასტურებელია, ერთნაირად იპყრობდა ყველას ყურადღებას და იმსახურებდა მოწონებას.

**პროფესორი ე. ხარაძე,**
აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მივცეთ სამშობლოს მეტი ცხვრის ხორცი, მეტი მატყლი

## ზოგიერთი არსებითი საკითხის შესახებ

[illegible] რობების შექმნამ უზრუნველყო დოლის წარმატებით ჩატარება და ცხვრის პროდუქტიულობის ამაღლება.

დოლში კარგი მაჩვენებლები აქვს სოფელ განისის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე თ. გელაძე), სადაც ყოველ ას ცხვარზე შეინარჩუნეს 97 ბატკანი. საუკეთესო წარმატებას მიაღწია მეცხვარეთა იმ ბრიგადამ, რომელსაც მ. გადიევი ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადაში შენარჩუნებულია მთელი ნამატის 98,5 პროცენტი.

ნამატის მიღება-გაზრდაში მოწინავენი არიან სიონის ჟდანოვის სახელობისა და ახალციხის კოლმეურნეობები.

რაიონის მეცხვარეთა შორის ფართოდ გაიშალა ოქტომბრის რევოლუციის 40 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება. მატყლის მიღების საქმეში სოფელ ცდოს კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ვ. ჩოფიკაშვილი) აჯობა გორისციხის ა. ყაზბეგის სახელობის კოლმეურნეობას. ცდოელებმა ამ გაზაფხულზე თვითეულ გაპარსულ ცხვარზე საშუალოდ 2,7 კილოგრამი მატყლი მიიღეს.

მატყლის მიღებაში მოწინავეთა რიგებში დგანან აგრეთვე კარკუჩის კაგანოვიჩის სახელობისა და სხვა კოლმეურნეობები.

ფერმებში ახლა გაცილებით მეტი ყურადღება ექცევა პირუტყვის ზოოვეტმომსახურებას. მეცხვარეები დარწმუნდნენ, რომ მეტისური ცხვარი მოითხოვს უკეთეს მოვლა-პატრონობას. ამ მიზნით საზამთრო საძოვრები- [illegible] გამო ტრასის ამ უბანზე ცხვრის ნორმალური დარწყულება შეუძლებელია, ხოლო ვოზნესენსკაიადან ორჯონიკიძემდე ასევე შეუძლებელია პირუტყვის გამოკვება, რადგან ტრასის ეს მონაკვეთი გადახნული და მეტისმეტად დავიწროებულია.

შარშანდელთან შედარებით წელს უფრო ცუდად იყო დაყენებული მწყემსთა მომარაგება როგორც გამოზამთრების, ისე ცხვრის გადარეკვის პერიოდში. მაგალითად, მგზავრობის პირველ დღეებში ცეკავშირის საცალო ვაჭრობას (დირექტორი დ. გიგაური) მოწყობილი არ ჰქონდა დატარებითი ვაჭრობა, მწყემსებს არ შეეძლოთ შეეძინათ ნავთი, ბენზინი, წეკო და პირველი მოთხოვნილების სხვა საგნები.

ეს ნაკლოვანებები სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს.

ცხვრის გადარეკვა დამთავრებული არც კი გვქონდა, როცა მეცხვარეებმა დიდი სიხარული განიცადეს. ეს გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წერილმა მეცხვარეობის შემდგომი განვითარებისა და მატყლის წარმოების გადიდების შესახებ.

ჩვენი რაიონის კოლმეურნეები, რომლებსაც მეცხვარეობის განვითარებაში მდიდარი ტრადიციები აქვთ, ძალასა და ენერგიას არ დაიშურებენ პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლაში.

**ფ. გოგიშვილი,**
ყაზბეგის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

## ჩვენი სიმდიდრე

სკკპ XX ყრილობის [illegible] ცხვრის ნორმალური გამოზამთრებისა და დოლის ჩატარებისათვის მწყემსებს ყველა პირობა შევუქმენით, მოვამარაგეთ ტანსაცმლით, სურსათით, უზრუნველვყავით კეთილმოწყობილი ბინებით, თვითეულ ცხვარზე ყიზლარის საზამთრო საძოვარზე დავამზადეთ 1,5 ცენტნერი თივა, დამატებით ავაშენეთ ახალი ფარეხი 1.000 ცხვრისათვის, ავაგეთ მწყემსთა საცხოვრებელი სახლი.

ამან თავისი შედეგი გამოიღო. მიმდინარე გაზაფხულზე კოლმეურნეობას შეემატა გაუმჯობესებული ჯიშის 2.328 ჯანსაღი ბატკანი, რაც მიღებულია ადგილობრივ თუშურ ცხვართან კავკასიური რამბულიეს ჯიშის ყოჩების შეჯვარებით. ახლა უკვე გვყავს მეტისური ცხვრის მესამე თაობა, რომელიც ხასიათდება მაღალპროდუქტიულობით, იძლევა ნაზ და



ნახევრადნაზ მატყლს, კარგად იტანს მომთაბარეობას, ამასთან ახალი ჯიშის ცხვრის საშუალო წონა გაცილებით მეტია თუშური ცხვრის წონაზე.

ფერმაში ყველაზე მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია ლ. ქავთარაძის ბრიგადამ, რომელმაც ნამატი შეინარჩუნა 98,3 პროცენტით. მას არ ჩამორჩებიან ის ბრიგადები, რომლებსაც შ. ბურდული და ი. აფციაური ხელმძღვანელობენ.

ცხადია, ნამატის მიღების აღნიშნული მაჩვენებელი მაინცდამაინც სახარბიელო არ არის, მაგრამ მიღებული გამოცდილება იმის საფუძველია, რომ შემდეგისათვის უფრო მაღალ მაჩვენებლებს მივაღწიოთ და ყოველწლიურად ვზარდოთ ნამატის მიღების პროცენტი.

კოლმეურნეობამ განსაკუთრებით კარგ მაჩვენებლებს მიაღწია მატყლის წარმოებაში. პირველი პარსვისას მიღებულია საშუალოდ 2,2 კილოგრამი მატყლი — იმდენი, რასაც წინა წლებში პირველი და მეორე პარსვის დროს ერთად ვიღებდით.

მატყლის მიღების საქმეში დაწინაურდა ლ. ქავთარაძის ბრიგადა, რომელმაც თვითეულ ნაზმატყლიან ცხვარზე მიიღო 7,1 კილოგრამი მატყლი, ხოლო ნახევრადნაზმატყლიან ცხვარზე 2,9 კილოგრამი.

კარგი მაჩვენებლები აქვს აგრეთვე ლევან ბურდულის ბრიგადას, რომელმაც თვითეულ ნახევრადნაზმატყლიან თოხლზე მიიღო 2,8 კილოგრამი მატყლი და კოლმეურნეობას მისცა 120 ათასი მანეთი შემოსავალი. ასევე სასახელო მაჩვენებლები აქვს იმ ბრიგადას, რომელსაც ი. აფციაური ხელმძღვანელობს.

უნდა აღინიშნოს ზოგიერთი საჭირბოროტო საკითხი, რომელიც მეცხვარეობის შემდგომ განვითარებას აბრკოლებს, კერძოდ ის, რომ საქართველოს სსრ მეცხოველეობის სამანქანო სადგურს ჩორნი რინოკში იმდენი სათიბი მანქანები არა აქვს, რამდენიც საჭიროა საზამთრო საძოვრებზე თივის დასამზადებლად. გასულ წელს ჩვენმა კოლმეურნეობამ თივა დაამზადა დაღისტნის ასსრ მეცხოველეობის სამანქანო სადგურის დახმარებით.

გაეცნენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წერილს „მეცხვარეობის შემდგომი განვითარებისა და მატყლის წარმოების გადიდების შესახებ“, ჩვენმა მეცხვარეებმა მიზნად დაისახეს ყოველ 100 ჰექტარ სავარგულებზე სახელმწიფოს ჩააბარონ 4 ცენტნერი მატყლი და კვლავ აწარმოონ ცხვრის ჯიშობრივი გაუმჯობესება, რათა ყოველწლიურად ზარდონ მატყლის წარმოება.

**ი. წიკლაური,**
დუშეთის რაიონის სოფელ ჯულისის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

## ჩემი მეზობელი

ელვა იკლაკნებოდა. შავ ნისლს დაებურა ჰიუხის თხემები და გამალებით ეშვებოდა ბურსაჭირისაკენ, თან წვიმის შხეფები მოჰქონდა ჭალებისაკენ.

გაზაფხული იყო. ქვენამთის სერები თეთრად მოვარაყებული მოჩანდა, მთის ტაფობშიც კიდევ იყო თოვლის ფენა, რომელსაც ცხვრის ფარა მძლავრად მოთელავდა. ბუნების ასეთმა მძლავრმა აბობოქრებამ, ჭექა-ქუხილმა, ელვამ მწყემსი შეაშფოთა და იგი სწრაფად დაეშვა ციცაბო ფერდობზე. მას როდი ეცალა გამოქვაბულში თავშესაფარად. სანამ ცოცხალია, არ უნდა განშორდეს თავის საყვარელ ცხვარს, რომელიც მას თეთრი ზოლივით მისდევს უკან.

წვიმა მინელდა. მწყემსმაც ჩამოაღწია თავისი ფარით.

...მე, როგორც მთის კაცს, მიყვარს მთა-ღელეებზე ნავარდი. ახლაც აქ გავლდით. ეს პირველი ფარა იყო, რომელიც ყიზლარის საზამთრო საძოვრებიდან მოდიოდა გუდამაყარში, და ამიტომაც გახარებული მივვარდი სტიქიასთან მებრძოლ ამ მწყემსს. ვიფიქრე — იქნებ მამაჩემია-მეთქი, რადგან ისიც ცხვარში იყო გასული.

საბა იყო, ბექაური, ჩვენი თანამემამულე-ჩვენი კოლმეურნეობის მოწინავე მწყემსი.

პირველი სტუმარი ვარ ჩემი მშობლიური კუთხისა, — გვითხრა მან. ეტყობოდა, მონატრებოდა, აკვირდებოდა მწვანედ მოხატულ ფერდობებს, ველებს.

ეს ბუნებასთან შეხისხლხორცებული ადამიანი რამდენიმე ათეული წელია ცხვარში დაიარება და თავდადებულად ემსახურება საერთოსახალხო საქმეს. იგი ბავშვობიდანვე ოლცებდა თანასოფლელებს შეუპოვრობით.

საბა მრავალი წლის მანძილზე გუდამაყრის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარე ბრიგადირია. შარშან შემოდგომაზე თავის საყვარელ სამწყემსოს — რვაას სულზე მეტ ცხვარს ნოღაის ველებისაკენ მიერეკებოდა...

ამინდი მოულოდნელად შეიცვალა, რაც მთის ბუნებას მუდამ სჩვევია. ბურსაჭირის გადასასვლელთან ქარბუქმა შეაჩერა მისი ფარა.

თუმცა შემოდგომა იყო, მოთოვას არავინ ელოდა. მაგრამ ქვენამთის მკაცრმა ბუნებამ სწრაფად შეცვალა ტაროსი. საჭირო იყო ცხვრის სწრაფად გადაყვანა მთას იქით, ყაზბეგში.

საბამ თავის ამხანაგ მწყემსებთან ერთად ვაჟკაცურად დაძლია ბუნების მკაცრი წინააღმდეგობა და უდანაკარგოდ გაიყვანა ფარა ქვენამთას იქით.

ამიტომ უყვართ იგი მწყემსებს და აფასებენ მის შრომას. საბა გასულ წელს პარტიის დუშეთის რაიკომის წევრად აირჩიეს.

ასეთია ჩემი მეზობელი საბა, რომელიც ამ დღეებში ყიზლარიდან ახალი წარმატებით დაგვიბრუნდა.

**შ. ბექაური,**
გუდამაყრის შვიდწლიანი სკოლის მასწავლებელი.

## ბეჯითი შრომით

მესამე წელია, რაც მეცხვარეობის ფერმის ბრიგადირად ვმუშაობ. მოსავლელად მომაგრებული მყავს კოლმეურნეობის ნაზმატყლიანი ცხვრის ფარა. ამ გაზაფხულზე საშუალოდ თვითეულ ცხვარზე მივიღე 7,1 კილოგრამი მატყლი და ნამატი შევინარჩუნე 98,3 პროცენტით.

ახლა ვიბრძვი იმისათვის, რომ 1958 წლის გაზაფხულზე ნამატი შევინარჩუნო მთლიანად. ხოლო მატყლის გამოსავლიანობა თვითეულ ცხვარზე ავიყვანო 8 კილოგრამამდე, რაც ერთგვარი წვლილი იქნება საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ზრდის საქმეში.

**ლ. ქავთარაძე,**
დუშეთის რაიონის სოფელ ჯულისის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის ბრიგადირი.

## დავალებას შევასრულებთ

14 წლის ასაკიდან ცხვარში დავდივარ, დავბერდი, მაგრამ არც ახლა ვაპირებ შინ ჯდომას. წლების განმავლობაში ცხვრის მოვლა-პატრონობის დიდი გამოცდილება შევიძინე და დავრწმუნდი, რომ ნამატის მიღებისა და მატყლის წარმოების გადიდებაში მთავარია ცხვრის კარგი მოვლა-პატრონობა.

ცხვარს ზუსტად განსაზღვრულ დროს ვაძოვებ, ვარწყულებ და ვასვენებ. ამით პირუტყვი ეჩვევა დღის რეჟიმს, კარგად იკვებება და სწრაფად მატულობს წონაში. დილიდან ცხვარს ვაძოვებ ნაკლებბალახიან საძოვარზე, რადგან დილით პირუტყვი მდარე ბალახსაც მადიანად ჭამს, რამდენიმე ხნის შემდეგ ცხვარი შედარებით უკეთეს საძოვარზე გადამყავს. ზაფხულის სიცხიან დღეებში ვაწყობ ცხვრის საღელამისო ძოვებას.

საზამთრო საძოვრებზე ჩასვლისას პირველ რიგში ვსწავლობ საძოვარ ადგილებს. დოლის მოახლოების დროს ცხვარს საუკეთესო საძოვარს ვურჩევ. კარგ ამინდში ფარა შორეულ საძოვარზე მიმყავს, ხოლო ცუდ ამინდში ბინის მახლობლად ვაძოვებ.

ცხვარს ბაგური შენახვა არ უყვარს, ამიტომ საჭიროა რაც შეიძლება მეტხანს იგი უშუალოდ საძოვარზე გვყავდეს.

ამ წესს ზუსტად ვიცავ. მკაცრი ყინვების დროსაც კი ფარა რამდენიმე საათით მინდორში გამყავს, მაგრამ არასოდეს არ ვაძოვებ მოყინულ ბალახს, რადგან ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია ცხვარმა საკვებს ყინულის ნატეხი შეაყოლოს, რაც იწვევს აბორტს და პირუტყვის დაავადებას.

ჩვენი ფერმის მუშაკები ცხვარს შემდგომშიც არ მოვაკლებთ მოვლა-პატრონობას, გავზრდით პირუტყვის სულადობას, გავადიდებთ მატყლის წარმოებას და ყველაფერს გავაკეთებთ, რათა პარტიის დავალება პირნათლად შევასრულოთ.

**ი. დოლიძე,**
თიანეთის რაიონის სოფელ მაგრანეთის კოლმეურნეობის მწყემსი-მცნობარი.

## თვითეულ ცხვარზე 5 კილოგრამი მატყლისათვის

დიდი კმაყოფილება ვიგრძენით მე და ჩემმა ამხანაგებმა, როცა გავეცანით სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წერილს, რომელიც გაზეთებში ახლახან გამოქვეყნდა. ამ დოკუმენტში დიდი სიმართლით და ბოლშევიკური პირდაპირობით არის აღნიშნული ჩვენს ქვეყანაში მეცხვარეობის მდგომარეობა და მისი შემდგომი აღმავლობის კონკრეტული გზები.

მართალია ჩვენს კოლმეურნეობაში ცუდად როდი იბრძვიან ცხვრის სულადობის ზრდისა და მატყლის წარმოების გადიდებისათვის, მაგრამ ყველა რეზერვი გამოყენებული მაინც არ არის. მლეთელ მეცხვარეებს შეუძლიათ წელსვე მისცენ სახელმწიფოს გაცილებით მეტი მატყლი, ხორცი, ერბო და სხვა პროდუქტები, ვიდრე შარშან.

პირადად მე ფერმის ერთ-ერთ ბრიგადას ვხელმძღვანელობ. კარგი მოვლა-პატრონობით საუკეთესოდ გამოვაზამთრეთ ცხვარი და თვითეულზე მარტო ამ გაზაფხულზე 3,3 კილოგრამი ნახევრადნაზი მატყლი მივიღეთ, მაშინ როცა გეგმით წელიწადში თვითეულ ცხვარზე 3 კილოგრამი მატყლი უნდა გავპარსოთ.

ვალდებულებას ვკისრულობთ წლის ბოლომდე თვითეულ ცხვარს გავპარსოთ 5 კილოგრამი მატყლი. ამ პირობას აუცილებლად გავანაღდებთ. ეს იქნება ჩვენი მცირედი წვლილი იმ დიდ საქმეში, რომელიც პარტიამ და მთავრობამ მეცხვარეობის მუშაკებს დაუსახეს.

**შ. ნაზღაიძე,**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, დუშეთის რაიონის სოფელ მლეთის კოლმეურნეობის ფერმის ბრიგადირი.



დუშეთის რაიონის სოფელ ჭართლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის გამგე გ. ჭიკაიძე ფერმის მუშაკებს აცნობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წერილს მეცხვარეობის შემდგომი განვითარებისა და მატყლის წარმოების გადიდების შესახებ.



დამტვერილ და ოღროჩოღრო გზაზე ხვნეშითა და ბლიაქუნით მიახრახებდა ძველისძველი საბარგო ავტომანქანა, რომელსაც ახალგაზრდა შოფერი ავთანდილ ბუჩაშვილი მართავდა.

ავტომძღოლს პილოტის კომბინეზონი ეცვა, ვეებერთელა სათვალე ეკეთა, მაგრამ მაინც თავბედს იწყევლიდა, ქარისაგან მოხვეტილი მოყვითანო მტვერი სულს უხუთავდა, ისეთ კორიანტელს აყენებდა, რომ მზეც არ ჩანდა.

უკეთეს დღეში არც მგზავრები ვიყავით. გვეგონებოდით, სადღაც უზარმაზარი დოლაბები ტრიალებენ, საიდანაც ფქვილი კი არა, მტვრის შეუწყვეტელი ნაკადი პირდაპირ ჩვენკენ იყრება.

ადვილი გასაგები იქნება, თუ რა გაჭირვებას განიცდიდნენ მწყემსები, რომლებიც ამ ჯოჯოხეთურ ამინდში მიერეკებოდნენ ცხვარს, მით უმეტეს ტრასის იმ უბანზე, სადაც საქმარისი წყალი არ არის.

ბაჯიგანს რომ მივუახლოვდით, ქარმა იკლო. გამოჩნდა თეთრად შელესილი სახლი. — ეს მაქართის კოლმეურნეობის ბინა გახლავთ, — გვითხრა თანამგზავრმა. ჩვენც იქით მივეშურებოდით, რადგან ახალგაზრდა მაქართელ მწყემსს გიორგი წიკლაურს ვეძებდით, რომელსაც პირველად ტრასზე შარშან შევხვდით. გიორგის საშუალო სასწავლებელი დაემთავრებინა და ცხოვრების გზად ყველაზე რთული და ძნელი საქმე — მეცხვარეობა აერჩია.

რამდენი ფარაც შეგვხვდა, იმდენჯერვე მწყემსებს ვკითხეთ გიორგის ადგილსამყოფელი, მაგრამ ამაოდ. ზოგმა თქვა, იმისმა ცხვარმა უკვე გაიარაო, ზოგიც გვაიმედებდა — წიკლაური უთუოდ ბინებში დაგხვდებათო...

გონებაში საეჭვო ფიქრები ტრიალებდა — შეძლო თუ არა კომკავშირელმა მწყემსმა თავისი სიტყვის გამართლება? კარგად გამოაზამთრა თუ არა ცხვარი?

ბინის წინ შეგროვილ ხალხში ადამ ქავთარაძე — მაქართის კოლმეურნეობის თავმჯდომარე შევიცანით. ფერმაში ცხვრის პარსვა გრძელდებოდა. გვეგონა, წიკლაურს იქ მაინც ვიპოვნიდით, მაგრამ ადამმა სიცილით გვითხრა:

— გაგასწრო, გუშინ წავიდა...

გამოვიკითხეთ გიორგის ამბავი. თავმჯდომარემ სიამოვნებით გვაცნობა, რომ ამ ზამთარს წიკლაურს მამალი თოხლის ფარა ებარა. კარგი მოვლა-პატრონობით ახალბედა მწყემსს ფერმაში მატყლის გამოსავლიანობის ყველაზე უკეთესი მაჩვენებლისათვის — თვითეულ ცხვარზე ორ კილოგრამზე მეტისათვის მიუღწევია.

...ადვილად როდი შეურიგდნენ გიორგის ცხვარში წასვლას მეგობრები და ამხანაგები. თვითონ მამამის სანდროსაც, რომელიც ბავშვობიდანვე მეცხვარეობას მისდევს და ეს პროფესია ყველაზე საამაყოდ მიაჩნია, გაუკვირდა შვილის საქციელი და გაჯავრებულმა ჩაიბუზღუნა:

— კომბალი თუ გაინტერესებდა, შე კაი კაცო, მაშინ რაღას სწავლობდი მთელი თერთმეტი წელიწადი...

— შენი ახალგაზრდობა კლდე-ღრესა და გადახრუკულ მინდვრებში უნდა ჩაკლა? — გულახდილად ეკითხებოდა კლასის ამხანაგი.

მაგრამ გიორგიმ მაინც თავისი გაიტანა, და თუ ვინმე ახლა ფიქრობს, რომ წიკლაურმა სამუდამოდ მიატოვა უმაღლეს სასწავლებელზე ფიქრი, ცდება. ადამის საუბარს რომ მოვუსმინეთ, დავრწმუნდით — გიორგი ახლა უფრო მეტი შეუპოვრობით ემზადება ზოოტექნიკოსის თუ ვეტერინარი ექიმის სპეციალობის მისაღებად. — მთელი ზამთარი თავისუფალ დროს წიგნი ხელიდან არ გაუგდიაო, — თქვა ქავთარაძემ.

...მწყემსები აჩქარებული ნაბიჯით მიერეკებოდნენ ცხვარს. ამის საბაბი მათ ჰქონდათ. ჯერ იყო და მეტეოროლოგები რაღაც საშინელ ამინდს წინასწარმეტყველებდნენ, მეორეც იმ დღეებში საძოვრებზე საგანგაშო რადიოგრამა მიეღოთ — ჯეირნებს (რომლებიც კასპიისპირეთში ათასობით არის) თურქულის ნიშნები გამოაჩნდათ და შესაძლებელია ცხვარს გადაედოსო.

დაბრუნებისას ათობით ფარა მოვიტოვეთ უკან. მტვრისაგან გაშავებულ მწყემსებს შორის ხშირად ვხვდებოდით იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც გიორგი წიკლაურის გზა აერჩიათ. ბაჯიგანის ტრიალ მინდვრებში გავიცანით ლენინგორელი ოთარ ახლოური, რომელიც სიმწიფის ატესტატით აგერ მეორე წელიწადია ცხვარში მუშაობს. ვნახეთ თიანელი ირაკლი იარაჯული, ვიქტორ ბალაშვილი, ბათილბეგ ყორაევი, ვალოდია ბალხამიშვილი... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. ისინი ყველანი ახალგაზრდები არიან, უყვართ მწყემსური ცხოვრების რომანტიკა, თავგადასავალი, სიძნელეებთან ბრძოლა.

კაცმა რომ თქვას, ნოღაის ველზე ახლა არც თუ ისე ცუდი სამყოფელია. თითქმის ყველა კოლმეურნეობას აქვს მწყემსთა კულტურული ბინები დასასვენებელი ოთახებით, აბანოებით, ბევრგან არის რადიომიმღებები. ქართველი მწყემსი სამშობლოსაგან თავს მოწყვეტილად როდი გრძნობს, მაგრამ სასურველი და აუცილებელია უფრო გაუმჯობესდეს მოზამთრეთა კულტურული მომსახურება. რა დასამალავია, ბევრ ბინაში მთელ ზამთარს გაზეთი არ უნახავთ, არა აქვთ რადიომიმღები. როგორც აღვნიშნეთ, მწყემსთა საერთო რიცხვში ახალგაზრდობას თვალსაჩინო ადგილი უკავია. მისი კულტურული მოთხოვნილება მეტისმეტად დიდია. ამ გარემოებას ანგარიში უნდა გაეწიოს.

* * *

თერგის სანაპიროზე დაბურულ ტყესთან, რომელიც ნოღაის ნახევარ უდაბნოებთან შედარებით ნამდვილ ოაზისს ჰგავს, ქართველ მეცხვარეებს მომსახურებას უწევს ცეკავშირის მაღაზია, სასადილო, აქვეა საექიმო პუნქტი და მომთაბარე ზოოვეტუბანი.

ვერც ერთი ფარა ვერ ასცდება ამ ადგილს, მით უმეტეს, რომ სწორედ აქ არის აგებული ერთადერთი ხიდი, რომლითაც შეიძლება თერგის მარჯვენა მხარეს გადასვლა.

ამჯერადაც რამდენიმე დღით თერგის ნაპირთან დავბინავდით.

გვაინტერესებდა გაგვეგო, როგორი წარმატებით ბრუნდებიან საზამთრო საძოვრებიდან ქართველი მწყემსები. რა თქმა უნდა, ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემა სანამ ყველაფერი არ დაჯამებულა, ძნელია. მაგრამ ამხანაგებს ხელთ ჰქონდათ პირველი მონაცემები, რომლებითაც შეიძლება ერთგვარი დასკვნის გაკეთება.

იმ რაიონების კოლმეურნეობათა შორის, რომლებიც ცხვარს ნოღაეთში აზამთრებენ, ყველაზე მაღალი მაჩვენებლები წელს ახმეტელ კოლმეურნეებს აქვთ.

ყოველ 100 დედაცხვარზე ახმეტელებმა შეინარჩუნეს 96 ბატკანი და თვითეულ ცხვარზე მიიღეს ორკილოგრამნახევარზე მეტი მატყლი. თუ მხედველობაში გვექნება წლევანდელი მკაცრი ზამთარი და ასევე უამინდო გაზაფხული, ეს ცუდი მაჩვენებელი როდია.

დანარჩენი რაიონები?

სასიამოვნოა აღინიშნოს ლენინგორელ მეცხვარეთა წარმატება, რომლებმაც შედარებით კარგად ჩაატარეს დოლი, გაზარდეს მატყლის გამოსავლიანობა და ორგანიზებულად დაამთავრეს ცხვრის პარსვა.

სასიხარულოა აგრეთვე მომთაბარე მეცხვარეობის რაიონის — დუშეთის რაიონის მწყემსთა მამაცური შრომა. მიმდინარე თვეში მათ სახელმწიფოს ჩააბარეს 17 ტონით მეტი მატყლი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

ბევრი მოწინავე ფერმა ჰყავთ ყაზბეგის, თიანეთისა და სხვა რაიონების კოლმეურნეობებს. მაგრამ არიან ჩამორჩენილი ფერმებიც, სადაც მეტისმეტად ნელი ტემპით იზრდება ცხვრის სულადობა, დაბალია პირუტყვის პროდუქტიულობა და ნამატის შენარჩუნების პროცენტი.

ახმეტელ მეცხვარეთა წარმატების მიზეზი ცხვრის საუკეთესო მოვლა-პატრონობის გარდა, იმაშიც მდგომარეობს, რომ მათ უკვე კარგა ხანია კოლმეურნეთა პირად სარგებლობაში მყოფი ცხვარი ცალკე ფარებად გამოჰყვეს და მას აძოვებენ საზოგადოებრივი ცხვრისაგან დაშორებით. მაშასადამე, აქ უკვე დაზღვეული არიან მოზარდეულისა და მიღებული პროდუქციის განიავება-დატაცებისაგან.

რაც შეეხება დანარჩენი რაიონების ფერმებს, იქ საზოგადოებრივი და კოლმეურნეთა პირადი ცხვარი ჯერ კიდევ ერთ ფარეხშია არეული და, როგორც იტყვიან, სოლომონ ბრძენიც ვერ გაიგებს, რომელი ბატკანი რომელი ცხვრისაა — კოლმეურნეობისა თუ კოლმეურნისა. სწორედ ეს ქმნის არევ-დარევას აღრიცხვაში.

ისმება კითხვა, განა დრო არ არის საქართველოს ყველა კოლმეურნეობამ გამოიყენოს ახმეტელთა გამოცდილება?

რას ფიქრობენ მეცხვარეები ზამთრის დოლზე?

ზამთრის დოლი შედარებით ახალი საქმეა და როგორც ხშირად ხდება, მას მომხრეებიც ჰყავს და მოწინააღმდეგეებიც.

სკეპტიკოსები ამბობენ, ნოღაეთში ზამთარი ხშირად სუსხიანია და ზამთრის დოლი გარკვეულ სიძნელეებს ქმნისო. ამის მაგალითად მათ შარშანდელი ამბავი მოჰყავთ, როცა არახელსაყრელი ამინდის გამო ზამთრის დოლმა განსაზღვრული ზარალი გამოიწვია. მაგრამ ამ ამხანაგებს ავიწყდებათ, რომ ასეთი ზამთარი ნოღაეთში არც ისე ხშირია, და, მეორეც, ზამთრის დოლი წარმოუდგენელია ისე, თუ წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები არ შესრულდა. ერთი რამ კი ცხადია: ზამთრის დოლი მეცხვარეობაში მართლაც პროგრესული მეთოდია, რომელსაც წარმატებით იყენებს ჩვენი ქვეყნის მრავალი მხარისა და ოლქის კოლმეურნეობა. ცხადია, ეს მეთოდი ჩვენს ფერმებშიც გავრცელდება.

კიდევ რაზე ვსაუბრობდით ამხანაგებთან?

იმაზე, რომ საჭიროა მეტი ყურადღება მივაქციოთ არტეზიულ ჭებთან ბალჩა-ბოსტნეულის, სიმინდის და ხორბლეული კულტურების გავრცელებას. მარტო დუშეთის რაიონის სოფელ ციხისძირის კოლმეურნეობის მაგალითი რად ღირს. წელს ამ კოლმეურნეობას საძოვრებზე 32 ჰექტარი ხორბალი უთესია.

ასევე საჭიროა წესრიგი დავამყაროთ ცეკავშირის საცალო ვაჭრობის სისტემაში, რომელიც მწყემსებს ჯერჯერობით სრულად ვერ უზრუნველყოფს საჭირო საქონლით.

* * *

გული ხარობს, როცა ჩვენი რესპუბლიკის ცხვრის უზარმაზარ ფარებს ხედავ. მათ თითქოს არც დასაწყისი აქვთ და არც დასასრული. მადლობის გრძნობით გევსებათ გული, რომ უცქერით ჩვენს შესანიშნავ მეცხვარეებს, რომლებიც თავიანთი ვაჟკაცური და ჭეშმარიტად გმირული შრომით ამრავლებენ საკოლმეურნეო სიმდიდრეს.

...ვოზნესენსკაიას მაღლობებიდან იისფერ ნისლში მოჩანს კავკასიონის მთები, დაღლილი მწყემსები სიყვარულით გასცქერიან მშობლიურ მყინვარს, და თითქოს თავისთავად მატულობს ნაბიჯი. ცოტაც და დარიალის მრისხანე კლდეები გულს გახსნიან, რათა თავისუფლად გაატარონ ათეულათასობით ცხვარი, ჩვენი სიამაყე, ჩვენი სიმდიდრე.

**ა. თომაძე.**
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.
სტანიცა იშჩორსკაია. მაისი.

* * *

**სურათზე:** დუშეთის რაიონის სოფელ ხანდოს კოლმეურნეობის ცხვრის ფარა არაგვის ხეობაში.

ფოტო გ. ნადარეიშვილისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოეთის გამოხმაურება ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარზე „კოლამბია ბროდკასტინგ სისტემის“ კორესპონდენტებთან

[illegible] ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარი, უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ამერიკელ ტელემაყურებლებსა და რადიომსმენელებზე.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ მიმომხილველი ტელევიზიის საკითხებზე ჯეკ ჰულდი წერს: „რიგითი ადამიანისათვის, რომლის წარმოდგენა კომუნისტთა ბელადზე, შესაძლოა შეიქმნა გაზეთების უპიროვნო სათაურების გავლენით ან რომელსაც იგი წარმოუდგენია როგორც ადამიანი, ვისაც გულმოდგინედ იცავენ, როგორც ამას ჩვეულებრივ გვიხატავენ ქრონიკალური სურათები, ეს ამაღელვებელი აღმოჩენის მომენტი იყო“.

აღნიშნავს რა, რომ „ხრუშჩოვი თავს როდი იცავს“, ჰულდი დასასრულ მოუწოდებს „ბრმა ოპოზიცია კი არ დაუპირდაპირონ მას, არამედ გონივრული და დადებითი პასუხი გასცენ მის წინადადებებს“.

გაზეთ „ნიუ-იორკ პოსტის“ მიმომხილველი მაქს ლერნერი ნ. ს. ხრუშჩოვის საუბრის გამო წერს: მოდით ვაღიაროთ, რომ ეს საუბარი იყო „კარგი სატელევიზიო გადაცემა, კარგი პოლიტიკა და წარმატება ჰქონდა“.

ლერნერი ამ გადაცემას უწოდებს ისტორიულ მოვლენას, რამდენადაც „ჩვენი ყველაზე ძლიერი მოწინააღმდეგე სახელმწიფოს ხელმძღვანელს“ პირველად ჰქონდა შესაძლებლობა და გამოიჩინა სურვილი ელაპარაკნა ამერიკელთა ფართო აუდიტორიასთან. მიმომხილველი წინასწარმეტყველებს, რომ ეს დიდ გავლენას მოახდენს მომავალ საერთაშორისო ურთიერთობაზე, და დასძენს: „ეს იმას ნიშნავს, რომ ცოცხალი სახე გამოდევნის ადამიანთა გონებაში სტერეოტიპს და რომ სტანდარტულ პროპაგანდას“ აქამდე ძირი გამოეთხარა. ლერნერი ამტკიცებს, რომ ამ გადაცემის მნიშვნელობა იმით გამოიხატება, რომ მან საშუალება მისცა ამერიკელებს მოესმინათ და დაენახათ „რუსთა ლიდერი, როგორც მოქმედი გონება“; მიმომხილველი აგრეთვე აცხადებს: „ნაკლებად საეჭვოა, რომ რუსი ლიდერები მოგვიწოდებენ — ისე გულწრფელად, როგორც ძალუძთ, — შევამციროთ ატომური ომის საფრთხე და შემოვფარგლოთ დემოკრატიული სამყაროსა (ასე უწოდებენ ამერიკის გაზეთებში კაპიტალისტურ ქვეყნებს. — რედ.) და კომუნისტური სამყაროს ბრძოლა მეტოქეობით, რომელიც გამორიცხავს ომს“. მიმომხილველი აცხადებს, რომ ხრუშჩოვმა სავსებით სწორად უარყო „რეგისტრაცია“ ატომური იარაღის გამოცდისა, რომელიც წამლავს ატმოსფეროს. მიმომხილველი გამოთქვამს სურვილს, რომ ეიზენჰაუერმაც „გააკეთოს ასეთი მარტივი და მკაფიო განცხადება“, და აღნიშნავს, რომ „როდესაც ხრუშჩოვი ახლა აყენებს წინადადებას აიკრძალოს ექსპერიმენტული აფეთქებანი, ეს, ეჭვი არ არის, ერთ-ერთი კონკრეტული ნაბიჯია განიარაღებისაკენ, რომელსაც ჩვენ უნდა მივესალმოთ“.

ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი ელჩი სსრ კავშირში ჯ. კენანი გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნში“ წერს: „ხრუშჩოვმა თავის ინტერვიუში გამოთქვა ბევრი დებულება, რომლებიც სავსებით სწორია“...

აცხადებს რა შემდეგ, რომ არ ეთანხმება ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ წამოყენებულ მთელ რიგ დებულებებს, ავტორი, მიუხედავად ამისა, იძლევა გაფრთხილებას, რომ „ზოგიერთ იმ დარგში, რომლებზეც ხრუშჩოვი ლაპარაკობდა, სასწორზეა დადებული უაღრესად მნიშვნელოვანი და სერიოზული საკითხები“. ამიტომ, აღნიშნავს იგი, ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ „გადაჭარბებულმა ეჭვიანობამ“ შეიძლება ცოტა ზიანი როდი მოიტანოს.

„მე ვფიქრობ, — განაგრძობს კენანი, — რომ ჩვენ უნდა შევისწავლოთ ხრუშჩოვის განცხადება საღად, დაკვირვებით, უილუზიოდ, მაგრამ აგრეთვე უწინასწარახვოდ და გაბედულად... ჩვენ არ უნდა დავუშვათ, რომ იმან, რაც გვაღიზიანებს ხრუშჩოვის შეხედულებებში, დაგვაბრმავოს ამ შეხედულებათა სხვა ელემენტების მიმართ, რომლებიც სავსებით შეიძლება შეიცავდნენ მთელ მსოფლიოში მშვიდობის შანსების გაუმჯობესების ნამდვილ შესაძლებლობას“.

იმ აშკარა მიზნით, რომ გააქარწყლონ შთაბეჭდილება, რომელიც ამერიკელ ტელემაყუ-[illegible]

მაგალითად, გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტი შიმტი წერს, რომ ხრუშჩოვის წინადადება, რომ განიარაღების მიმართულებით „პირველი სასარგებლო ნაბიჯის“ სახით გაყვანილ იქნან ევროპის რაიონებიდან ამერიკისა და საბჭოთა კავშირის ჯარები, ამერიკის ოფიციალური წრეების წარმომადგენელთა აზრით, არის თითქოს... „ცუდის მომასწავებელი განიარაღების შესახებ მოლაპარაკებისათვის“. „საბჭოთა ჯარების გაყვანა აღმოსავლეთ გერმანიიდან, პოლონეთიდან, უნგრეთიდან და რუმინეთიდან მაშინ, როცა შეერთებული შტატები და მათი მოკავშირეები წავლენ დასავლეთ გერმანიიდან, საფრანგეთიდან და თავიანთი სხვა პოზიციებიდან ევროპაში, — აცხადებს კორესპონდენტი, — იქნებოდა, როგორც ამერიკის წარმომადგენლები ამბობენ, ცუდი გარიგება“.

**ვაშინგტონი, 4 ივნისი.** (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა გუშინ გააკეთა სპეციალური განცხადება კომპანია „კოლამბია ბროდკასტინგ სისტემის“ წარმომადგენლებთან ნ. ს. ხრუშჩოვის საუბართან დაკავშირებით.

წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარში ჩამოყალიბებული გეგმა, რომელიც გულისხმობს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან საბჭოთა ჯარების გაყვანას დასავლეთის ქვეყნებიდან ამერიკის ჯარების გაყვანის სანაცვლოდ, როგორც ერთ-ერთ ნაბიჯს განიარაღების პრობლემის გადაჭრის გზაზე, „მიუღებელია“.

ამავე დროს განცხადება შეიცავს მტკიცებას, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მზად არიან „მიიღონ“ სსრ კავშირის ყოველი ნაბიჯი, მიმართული „ნაყოფიერი მოლაპარაკებისაკენ“ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობის პრობლემებზე.

მაგრამ აქვე მოლაპარაკების შესაძლებლობას სახელმწიფო დეპარტამენტი უკავშირებს იმას, თუ რამდენად მზად არის საბჭოთა მთავრობა... „გადასინჯოს თავისი პოლიტიკა“.

ჟურნალისტთა წრეებში ყურადღებას აქცევენ იმას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ესოდენ სწრაფი უარყოფითი რეაქცია საბჭოთა წინადადებებზე, რომელთა მიზანია საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღება, აიხსნება ნერვულობით, რაც გამოწვეულია დიდი შთაბეჭდილებით, რომელიც ამერიკის საზოგადოებრიობაზე მოახდინა ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარმა, და მისწრაფებით შეანელონ ეს შთაბეჭდილება.

ამ წრეებში აგრეთვე აღნიშნავენ, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი ამასთან მიზნად ისახავს შეანელოს ზემოქმედება ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრიობისა, რომელიც, ხედავს რა სსრ კავშირის დაუცხრომელ მისწრაფებას მშვიდობის საკეთილდღეოდ გადაიჭრას საერთაშორისო პრობლემები, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისაგან მოელის, რომ იგი დადებითად მოეკიდება სსრ კავშირის პოზიციას.

**ლონდონი, 4 ივნისი.** (საკდესი). ინგლისური გაზეთები დიდ ყურადღებას უთმობენ ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარს ამერიკის რადიოტელევიზიის კომპანია „კოლამბია ბროდკასტინგ სისტემის“ კორესპონდენტებთან. ცნობები ამ თემაზე მოთავსებულია თვალსაჩინო ადგილას.

„დეილი მეილი“ აღნიშნავს, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარი იძლევა საფუძველს იმ პერსპექტივების ოპტიმისტური შეფასებისათვის, რომ მალე დაიდება შეთანხმება განიარაღების შესახებ ლონდონის მოლაპარაკების მსვლელობაში (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტში).

თითქმის ყველა დიდმა პროვინციულმა გაზეთმა ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარი აირჩია თავის წამყვან თემად და პირველ გვერდზე დიდი სათაურებით მოათავსა ცნობები მის შესახებ. გაზეთების უმრავლესობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ხრუშჩოვმა მოითხოვა დასავლეთის სახელმწიფოთა და საბჭოთა კავშირის ჯარების გაყვანა დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან და განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის განიარაღების პრობლემის გადაჭრა დაიწყოს მცირეთი, რათა მიღწეულ იქნას მეტი.

გაზეთი „იორკშირ პოსტი“ სარედაქციო კო-[illegible]

[illegible] ყველაზე მნიშვნელოვანია ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვები იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის განიარაღების საკითხში დაიწყოს მცირეთი.

ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა იმ თხოვნის პასუხად, რომ კომენტარი გაეკეთებინა ნ. ს. ხრუშჩოვის საუბრისათვის, განაცხადა, რომ მას სურს შეეხოს საუბრის იმ ნაწილს, რომელიც ეხება უცხოეთის ჯარების გაყვანას ევროპიდან. ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის პასუხი მოწმობდა, რომ ინგლისის გარკვეულ წრეებს აშკარად არა სურთ ობიექტურად მიუდგნენ ამ წინადადების განხილვას, რომლის მიღება, როგორც ნ. ს. ხრუშჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, ძალიან სასარგებლო და პირველი ნაბიჯი იქნებოდა კეთილი ურთიერთობის შესამოწმებლად და კარგი ატმოსფეროს შესაქმნელად.

**ბერლინი, 4 ივნისი.** (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული პრესა დიდ ყურადღებას უთმობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარს ამერიკის რადიოტელევიზიის კომპანია „კოლამბია ბროდკასტინგ სისტემის“ კორესპონდენტებთან.

ცნობებს ამ თემაზე დღევანდელი გაზეთები ათავსებენ თვალსაჩინო ადგილას დიდი სათაურებით. აქვეყნებენ რა საუბრის შინაარსს, გაზეთები გამოჰყოფენ ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხს უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო საკითხებზე. გაზეთი „ნოიე ცაიტი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ნ. ს. ხრუშჩოვმა აშკარად მოითხოვა განიარაღების საკითხის უსწრაფესად გადაჭრა. მან კვლავ მოითხოვა შეწყდეს ატომგულის იარაღის გამოცდა. ნ. ს. ხრუშჩოვმა, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, მოაგონა, რომ საბჭოთა კავშირმა მნიშვნელოვნად შეამცირა თავისი შეიარაღებული ძალების რიცხვი, მაშინ როცა დასავლეთის სახელმწიფოებს არ გადაუდგამთ შესაბამისი ნაბიჯები ამ მიმართულებით.

**კაირო, 4 ივნისი.** (საკდესი). ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარმა „კოლამბია ბროდკასტინგ სისტემის“ კორესპონდენტებთან დიდი ინტერესი გამოიწვია ეგვიპტის პრესაში. გაზეთებმა გამოაქვეყნეს საუბრის დაწვრილებითი შინაარსი, გამოჰყავს რა ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვები სოციალიზმის იდეის გამარჯვების გარდუვალობის, საბჭოთა პოლიტიკის მშვიდობისმოყვარული მიზნების შესახებ, იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირს სურს იცხოვროს მშვიდობით ყველა ქვეყანასთან და რომ საბჭოთა კავშირი ესწრაფვის საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და განიარაღების შესახებ შეთანხმების მიღწევას.

გაზეთი „ალ-აჰბარი“ აღნიშნავს, რომ ნ. ს. ხრუშჩოვმა „სავსებით გულწრფელად უპასუხა მისთვის მიცემულ ყველა კითხვაზე“.

გაზეთი „აშ-შააბი“ მთელ გვერდზე გაჭიმულ უზარმაზარ სათაურში წერს: „ხრუშჩოვი ეუბნება ამერიკელებს, რომ მათი შვილიშვილები იცხოვრებენ სოციალიზმის დროს. რუსეთი არ აპირებს თავს მოახვიოს ვინმეს სოციალისტური სისტემა და სურს მშვიდობიანი შეჯიბრება ამერიკასთან“.

„ჟურნალ დ' ეჟიპტი“ სათაურში აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „რუსეთს სურს მშვიდობიანი შეჯიბრება კაპიტალისტურ სამყაროსთან“. გაზეთები აღნიშნავენ საბჭოთა კავშირის მისწრაფებას მშვიდობის შენარჩუნებისადმი.

**პარიზი, 4 ივნისი.** (საკდესი). საფრანგეთის პრესა დიდ ყურადღებას უთმობს ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარს ამერიკის ტელევიზიის წარმომადგენლებთან. პარიზის ყველა გაზეთი თვალსაჩინო ადგილას დიდი სათაურებით აქვეყნებს საუბრის შინაარსს.

კომენტარს უკეთებს რა საუბრის შინაარსს, გაზეთ „მონდის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტი ირონიულად აღნიშნავს, რომ „თუ ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური წრეები გამოხატავენ იმედგაცრუებას, ამბობენ რა, თითქოს საუბარი არ შეიცავდეს არაფერს ახალს, მილიონობით ამერიკელი ტელემაყურებელი, რომელიც თვალყურს ადევნებდა ამ ისტორიულ ინტერვიუს, შესაძლოა სხვანაირად ფიქრობს“.

# ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის ფინეთში ჩასვლის წინ

**ჰელსინკი, 4 ივნისი.** (საკდესი). რაც უფრო ახლოვდება ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტი ფინეთში, ფინეთის პრესა მით უფრო გაცხოველებით უკეთებს კომენტარს ამ დიდმნიშვნელოვან მოვლენას. გაზეთმა „აამულეხტიმ“, აღნიშნა რა, რომ იმ პირთა შორის, რომლებიც ჩამოჰყვებიან საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწეებს, არიან კულტურისა და საგარეო ვაჭრობის სამინისტროთა წარმომადგენლები, წერს, რომ ხელსაყრელად ვითარდება კულტურული და სავაჭრო ურთიერთობა ფინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის და აღნიშნავს, რომ ასეთი განვითარება შეესაბამება ფინეთის ინტერესებს.

„აამულეხტი“ აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ჩვენს ქვეყნებს შორის არ არის რაიმე გადაუჭრელი დიდი პრობლემა“.

მთელი ვიზიტი, წერს „აამულეხტი“, განხილულ უნდა იქნას საერთაშორისო პოლიტიკის ფონზე. ცუდ მსოფლიოში აქ ხომ არის კუთხე, სადაც დიდ სახელმწიფოს და მის პატარა მეზობელ ქვეყანას შეუძლიათ კარგი თანხმობით იცხოვრონ და თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთნდობის საფუძველზე გულახდილად განიხილონ ყველა საკითხი, რომლებიც მათ აინტერესებთ. „თუმცა ფინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის პოლიტიკურ ურთიერთობას მკვიდრი საფუძველი აქვს, — წერს გაზეთი „ლახტი“, — მაგრამ ყოველთვის წამოიჭრება საკითხები, რომლებზეც საჭიროა აზრთა ურთიერთ გაზიარება“.

ჩვენმა ქვეყანამ, დასძენს „ლანტი“, მტკიცე ნეიტრალური პოზიცია დაიკავა საერთაშორისო წინააღმდეგობათა მიმართ. მაგრამ ეს ვერ დააბრკოლებს იმას, რომ ჩვენს მეზობელ ქვეყანას გავუზიაროთ აზრი ურთიერთ საინტერესო საკითხებზე.

გაზეთი „კალევა“ წერს: „ვიზიტის მიზანი ის არის, რომ პატიოსნად განვამტკიცოთ კარგი ურთიერთობა მეზობლებს შორის წინანდელ შეთანხმებათა საფუძველზე. ამ მისწრაფებას მხარს უჭერს ფინელი ხალხიც.“

# ინგლისის თემთა პალატაში

**ლონდონი, 5 ივნისი.** (საკდესი). გუშინ თემთა პალატაში პარლამენტის წევრმა ლეიბორისტებმა მოითხოვეს, რომ ინგლისის მთავრობამ შეწყვიტოს ატომგულის იარაღის შემდგომი გამოცდა, რაც ხელს შეუწყობს ატომგულის გამოცდის აკრძალვის შესახებ საერთაშორისო შეთანხმების დადებას. პრემიერ-მინისტრ მაკმილანის მიერ ამ მოთხოვნის უარყოფამ დიდი აღშფოთება გამოიწვია ლეიბორისტებში, რომლებიც წამოხტნენ და ხმამაღლა განაცხადეს პროტესტი მთავრობის პოზიციის წინააღმდეგ. მაკმილანის სიტყვები ხმაურმა დაფარა და მან შეძლო სიტყვის განგრძობა მხოლოდ სპიკერის ჩარევის შემდეგ. მაკმილანმა უარყო აგრეთვე ლეიბორისტების თხოვნა სპეციალურად შესწავლილ იქნას მონაცემები იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენს აფეთქების შედეგად მიღებული რადიაქტიური ნალექები ადამიანის ჯანმრთელობაზე.

ლეიბორისტული ოპოზიციის ლიდერმა ჰეიტსკელმა მაკმილანის ყურადღება მიაქცია პეტიციას, რომელსაც ხელი მოაწერა 2 ათასმა მეცნიერმა ამერიკის შეერთებულ შტატებში. მეცნიერები მოუწოდებენ დაიდოს საერთაშორისო შეთანხმება ატომგულის ყოველგვარი გამოცდის შეწყვეტის შესახებ.

ლეიბორისტმა ბივენმა აღნიშნა, რომ ინგლისის მთავრობის წინადადებები შეეხება გამოცდის რეგისტრაციას და არა მის შეწყვეტას. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ სასურველია შეთანხმება შემდგომი გამოცდის შეწყვეტის შესახებ. მაკმილანმა განაცხადა, რომ იგი არ აპირებს განიხილოს ეს თემა კითხვა-პასუხის წესით, და კვლავ შეეცადა გაემართლებინა მთავრობის პოზიცია მსჯელობით რაღაც მითიური აგრესიისაგან თავდაცვის შესახებ, რომელიც ვითომდა ემუქრება ინგლისს.

უკმაყოფილო შეძახილებით შეხვდნენ მაკმილანის სიტყვებს, რომ მონაცემებს ინგლისის ატომგულის იარაღის პირველი ორი გამოცდის შესახებ ახლა სწავლობენ და რომ გამოცდის შემდგომი პროგრამა განსაზღვრულ იქნება ამ მონაცემების მიხედვით.

დასასრულ მაკმილანმა განაცხადა, რომ „მთავრობის ვალია დაამთავროს ეს გამოცდები“. ამის შემდეგ მეტად არადამაჯერებლად გაისმა მაკმილანის სიტყვები, რომ ამავე დროს მთავრობა ცდილობს გააკეთოს ყველაფერი, რაც კი მასზეა დამოკიდებული, — „ან სტადიების მიხედვით, ან ნაწილობრივ შეთანხმებათა გზით, ან ყოველმხრივ შეთანხმებათა გზით“ — რათა უზრუნველყოფილ იქნას მაქსიმალური განიარაღება.



კეთილმოწყობილია სოფელი მამათი. სოფლის ცენტრს ამშვენებს კოლმეურნეობის კანტორის ახლად აგებული ლამაზი შენობა, კლუბი, რომლის დარბაზი გათვალისწინებულია 350 კაცისათვის, მექანიზებული წისქვილი, აფთიაქი, საექიმო პუნქტი. ყველა ბრიგადაში გაყვანილია ტელეფონი.

ამ დღეებში დამთავრდება სოფლის მაღაზიის კაპიტალური სახლის მშენებლობა. სოფელი რადიოფიცირებულია. წელს დამთავრდება აგრეთვე სოფლის ელექტროფიკაციის სამუშაოები.

სურათზე: ლანჩხუთის რაიონის სოფელ მამათის კოლმეურნეობის კანტორის ახალი შენობა.

ფოტო ნ. ერქომაიშვილისა.

☆

სასამართლოს დარბაზიდან

# წვრილმანი ხულიგნობისათვის

სოციალისტურ საზოგადოებაში საერთო ცხოვრების წესების დაცვა ყველა მოქალაქისათვის სავალდებულოა. საბჭოთა კანონი სჯის მათ, ვინც ანაგვიანებს ქუჩებსა და საზოგადოებრივი შეკრების ადგილებს, აზიანებს მწვანე ნარგავებს, სჩადის ხულიგნობას.

ხშირად ნახავთ ტრამვაის, ტროლეიბუსის და ავტობუსის უკანა ბაქანზე ჩამოკიდებულ მგზავრებს. მილიციის მუშაკის შენიშვნას ისინი არ იღებენ, იმართება შელაპარაკება, რის გამო მილიციელი იძულებულია წესრიგის დამრღვევი დააკავოს.

მოქალაქე ჯ. გვაძაბია № 8 მარშრუტის ტროლეიბუსს უკან ჩამოეკიდა. მილიციელმა ის კანონიერად დააკავა და ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოს გადასცა. სასამართლომ ჯ. გვაძაბიას ოთხი დღით პატიმრობა მიუსაჯა. მსგავსი საქციელისათვის დაისაჯნენ აგრეთვე ზოოპარკის თანამშრომელი მ. ნურიახმეტოვა და მეტალურგიული ტექნიკუმის III კურსის სტუდენტი ი. არტაზოვი. მათ ხუთიდან შვიდ დღემდე პატიმრობა მიესაჯათ.

ამწვანებული ბაღები, ხეივნები, სკვერები ჩვენი ქალაქის მშვენებაა. ბევრი ჩვენგანი დიდი სიყვარულითა და გულისყურით ეპყრობა მწვანე ნარგავებს, მაგრამ ჯერ კიდევ შემორჩენილი არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი დაუდევრობითა და უგულობით მრავალ ხესა და ბუჩქს აზიანებენ და ამით აბუჩად იგდებენ ხალხის შრომას, მშობლიური ქალაქის სილამაზეს.

სამართლიანად დაისაჯა საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი კომკავშირელი ლ. დონდუა, რომელიც თელავდა გაზონს, არ დაემორჩილა მილიციის მუშაკის მითითებას გადასულიყო ტროტუარზე. სასამართლომ ლ. დონდუას ხუთი დღით პატიმრობა მიუსაჯა.

პატიოსან მშრომელთა სამართლიან აღშფოთებას იწვევს ხულიგნობის ყოველგვარი გამოვლინება. ამას წინათ მოქალაქე ა. აიხორსტმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ქუჩაში მიმავალ უფროს ლეიტენანტ ხუბულაძეს. აიხორსტი მილიციის განყოფილებაშიც განაგრძობდა მილიციის მუშაკების შეურაცხყოფას. სასამართლომ ხულიგანს რვა დღით პატიმრობა მიუსაჯა.

წვრილმანი ხულიგნობის ფაქტებს მარტო ქუჩებსა და საზოგადოებრივ ადგილებში როდი ვხვდებით. ავყია ადამიანები მყუდროებას ურღვევენ თავიანთ მეზობლებსაც, ილანძღებიან და მოსვენებას არ აძლევენ თანამობინადრეებს. მაგალითად, გუდაურის შესახვევის № 1 სახლში მცხოვრებმა ს. ყრუაშვილმა ამას წინათ უმიზეზოდ აუტეხა ჩხუბი მეზობლებს. სასამართლომ მას ხუთი დღით პატიმრობა მიუსაჯა.

**ლ. მდინარაძე,**
**მ. ზაალიშვილი.**

# საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში

**მოსკოვი, 5 ივნისი.** დღეს აქ ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა მორიგი საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ ბრაზილიის კლუბის „ბაიას“ და მოსკოვის „ტორპედოს“ გუნდები.

შეჯიბრება ტორპედოელთა უპირატესობით დაიწყო. მათ ზედიზედ მიიტანეს იერიში სტუმართა კარზე და მალე ანგარიში გახსნეს. ბურთი გაიტანა ივანოვმა. ამის შემდეგ ბრძოლა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ბოლო წუთებში ბრაზილიელთა მარჯვენა შუამარბმა რეერამ „ტორპედოს“ კარში საპასუხო ბურთი გაიტანა. შეჯიბრების პირველი ნახევარი დამთავრდა ფრედ 1:1.

მეორე ტაიმის დასაწყისში სტუმრებმა ანგარიში გაადიდეს.

საერთაშორისო შეხვედრა დამთავრდა ბრაზილიის კლუბის „ბაიას“ გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

# ლელობურთელთა გუნდი — ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მსოფლიო ფესტივალის მონაწილე

**ჩოხატაური.** (საკ. კორ.). ჩოხატაურის რაიონის ლელობურთელთა გუნდმა „კოლმეურნემ“ რამდენჯერმე მოიპოვა რესპუბლიკის ჩემპიონის საპატიო წოდება. იგი ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია საქართველოში.

რესპუბლიკური ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტმა მიზანშეწონილად ცნო, რომ ჩოხატაურელმა ლელობურთელებმა მონაწილეობა მიიღონ ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მსოფლიო ფესტივალში.

ლელობურთელთა გუნდი (ხელმძღვანელი გ. მეგრელიშვილი, მწვრთნელები დ. ცინცაძე და ს. მინდაძე) შეუდგა მზადებას. კვირაში ორ-სამჯერ ეწყობა საწვრთნელი მეცადინეობა.

# გასწორება

„კომუნისტის“ 5 ივნისის ნომერში დაბეჭდილ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარში ამერიკის რადიოტელევიზიის კომპანია „კოლამბია ბროდკასტინგ სისტემის“ კორესპონდენტებთან საქდესის მიზეზით ტირაჟის ნაწილში გაიპარა შეცდომა. მეორე გვერდის მეხუთე სვეტის ზემოდან მე-4-7 სტრიქონები უნდა იკითხებოდეს: „ამერიკელებმა ჩან კაი-შისათვის 6 მილიარდი დოლარი დახარჯეს, რომ კონტინენტზე ლაენარჩუნებინათ იგი“. შემდეგ როგორც ტექსტშია.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

# ქუთაისელი ახალგაზრდების დღესასწაული



სურათზე: კომუნალური მეურნეობის მომღერალთა გუნდი. ფოტო ო. ბერეჩიკიძისა.

საქართველოს მეორე ინდუსტრიულ ცენტრში ქუთაისში ორ დღეს მიმდინარეობდა საქალაქო ფესტივალი, რომელიც ჭაბუკებისა და გოგონების ნამდვილ ზეიმად იქცა. ადგილობრივი ფესტივალებიდან შერჩეულმა კოლექტივებმა და ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა თავიანთი მიღწევები უჩვენეს ქალაქის მშრომელებს, აგრეთვე მოსკოვიდან, თბილისიდან, აჭარიდან, ზესტაფონიდან, ლანჩხუთიდან, მ...აკოვსკიდან და სხვა მეზობელი რაიონებიდან ჩამოსულ სტუმრებს.

შესანიშნავად იყო გაფორმებული ქუთაისის სტადიონი, სადაც მოეწყო ფესტივალის საზეიმო გახსნა. ფესტივალს ხსნის კომკავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი, ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ს. შარაბიძე.

ფესტივალის ალმის აღსამართავად მიემართებიან სსრ კავშირის სპორტის ოსტატი ავთანდილ ალფაიძე, ვარშავის V მსოფლიო ფესტივალის ლაურეატი მურმან ლომთათიძე და სსრ კავშირის სპორტის ოსტატი მერი ცნობილაძე.

იწყება სპორტული გამოსვლები. ქალაქის სკოლების მოსწავლეები მშვენივრად ასრულებენ სპორტულ ვარჯიშებს ქართული ხალხური მუსიკის ჰანგებზე. საინტერესო და მრავალფეროვანი სპორტული პროგრამით წარსდგა მაყურებლის წინაშე ქალაქის სასპორტო სკოლა.

საღამოს 9 საათისათვის დამთავრდა სპორტული გამოსვლები, ქალაქის თავზე, კულტურისა და დასვენების პარკში აინთო დიდი საფესტივალო ჩირაღდანი და პროჟექტორები, ჰაერი დასერეს ფერად-ფერადმა მაშხალებმა.

ფესტივალის გახსნის მომენტიდან საავტომობილო ქარხნის, აბრეშუმის კომბინატის და ქალაქის სადგურის მოედნებზე მოწყობილ ღია ესტრადებზე დაიწყო მხატვრული კოლექტივების გამოსვლა.

განსაკუთრებით საინტერესო და შინაარსიანი იყო ფესტივალის მეორე დღე. ესტრადებზე მოეწყო მხატვრული კოლექტივების გამოსვლა. ამის პარალელურად მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრსა და ფილარმონიაში გაიმართა მხატვრული კოლექტივებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების საკონკურსო გამოსვლები. დაღამებამდე არ შეწყვეტილა შესანიშნავი სიმღერები, ცეკვები.

ქების ღირსია კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის მომღერალ ქალთა გუნდი, რომელსაც ხელმძღვანელობს მოსწავლე იზოლდა სამუშია. გუნდმა კარგად შეასრულა პოპულარული ხალხური სიმღერა სიმონა დოლიძეზე. ფესტივალზე კარგი პროგრამით წარსდგნენ პედაგოგიური ინსტიტუტის, ლიტოპონის ქარხნის, მე-10, მე-5, მე-20 სკოლების, პიონერთა სახლის, კულტურის სახლის, პედსასწავლებლის, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის და სხვა მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივები.

ქალაქის კულტურის სახლში მოეწყო გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო ჭაბუკებისა და ქალიშვილების თვითნაკეთი ნამუშევრები.

ფესტივალის დღეებში გაიმართა შეჯიბრება ფეხბურთში, ნიჩბოსნობაში, ფრენბურთში, კალათბურთში, ხროლაში.

**თ. კალანდაძე,**
საქართველოს ახალგაზრდათა და სტუდენტთა რესპუბლიკური ფესტივალის შტაბის წევრი.


თანახმად თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1953 წლის 6 მაისის დადგენილებისა, ყველა ძაღლის — კავკასიური და აღმოსავლეთევროპული ჯიშის ნაგაზების, დობერმან-პინჩერების, ბოქსიორების, პუდელების, ერდელ-ტერიერებისა და სხვა ჯიშის სასამსახურო ძაღლების რეგისტრაცია ხდება საქართველოს „დოსააფის“ თბილისის სასამსახურო ძაღლების კლუბში, ორჯონიკიძის ქ. № 134, 13 საათიდან 21 საათამდე ყოველდღე.

ის პირები, რომლებიც არ გაატარებენ რეგისტრაციაში ძაღლებს, ადმინისტრაციული წესით ჯარიმდებიან 100 მანეთით.

საქართველოს სსრ „დოსააფის“ რესპუბლიკური კომიტეტი



საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია
საზაფხულო თეატრი
7 და 10 ივნისს
**დიდი საღამო—კონცერტი**
ესტრადის ოსტატების მონაწილეობით
პ. ამირანაშვილი, გ. სადარაძე და სტ. ჯაფარიძე, ბ. ზაქარიაძე, ვ. და ი. ნინუები, ზურაბ ანჯაფარიძე და სხვ.
დასაწყისი საღამოს 9 საათზე.
ბილეთები იყიდება.


## ტელეგადაცემათა პროგრამა
6 ივნისისათვის

20.00 — კინოჟურნალები; 20.20 — მხატვრული ფილმი „ჩვენი ეზო“ (რუსული ვარიანტი).

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო იუწყება რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის **თეიმურაზ აპოლონის-ძე ლორთქიფანიძის** გარდაცვალებას.

დედა თინა, მამა გივი, ძმა გია; თამარ, გალაქტიონ, ქეთო ჯიბლაძეები, რუსუდან, მიხეილ, მეგი გელაშვილები, ნატა ციციშვილი იუწყებიან **ზურაბ გივის-ძე ჯიბლაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7-VI, 8 ს. გამოსვენება 8-VI, 5 ს. კალინინის ქ. № 54.

შვილი მერი, სიძე სოლომონ ჰილაძე, ი., ვ. და ნ. ბოკუჩავები ოჯახებით იუწყებიან **სამსონ კონსტანტინეს-ძე ბოლქვაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7-VI 8 ს. გამოსვენება 8-VI, 5 ს. მერკვილაძის ქ. № 31.

დედა ლუბა, მამა იორდანე, მეუღლე ნაზო, დები ნინო, ნაზო, ძმა ვალიკო ხითარიშვილები ნათესავებით იუწყებიან **შოთა იორდანეს-ძე ხითარიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 8-VI, 8 ს. გამოსვენება 9-VI, 5 ს. ავჭალა, კიროვის ქ. № 5.

მეუღლე ბედრიე, შვილები გული, ეთერ ქიქავები, მემედ და ნინო კომახიძეები იუწყებიან **მიხეილ ახმედის-ძე ქიქავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-VI, 5 ს. ბათუმში, გამოსვენება ბინიდან, კომკავშირის ქ. № 14-ა.

შვილი ვერა, სიძე გიორგი კევლიშვილი, თამარ, თამაზ, ნათელა კევლიშვილები იუწყებიან **ნინო ტოზაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 7-VI, 8 ს. გამოსვენება 8-VI, 5 ს. 9 იანვრის ქ. № 13.

შვილი ეკატერინე, ძმა ვანო, სიძე ლ. გაგნიძე, რძალი გალია ოჯახებით იუწყებიან **ბარბარე გიორგის ასულ აღნიაშვილი-ელბაქიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 7-8-VI, 8 ს. გამოსვენება 9-VI, 3 ს. ხეჩუაშვილის ქ. № 18.

მეუღლე ელენე, შვილი ნუნუ, დები თამარ, სოფიო, მარიამ, ოლია, რძლები მარიამ, ეკატერინე ოჯახებით იუწყებიან **მიხეილ ივანეს-ძე გუდიაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7-VI, 8 ს. გამოსვენება 8-VI, 5 ს. კიევის ქ. № 3.

შვილები ქსენია შავგულიძე, როზა მარლანია, სიძეები შალვა მარლანია, ნესტორ კოხრეიძე, დები ოლია, ვარლო ფანცხავები ოჯახებით იუწყებიან **ეფროსინე ვასილის ასულ ფანცხავა-შავგულიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 9-VI, 4 ს. ქ. ქუთაისში, გამოსვენება ბინიდან, ორჯონიკიძის ქ. № 25.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელის — 3-57-61, პრესის მიმოხილვის, და პარტბიუროსი — 3-72-80, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 02245 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.